შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

დაუსწრებელი გადაწყვეტილება

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: **ბესარიონ მოხევიშვილი**

ნაშრომის ხელმძღვანელი: **შალვა ქურდაძე**

თბილისი

2020

შინაარსი

ანოტაცია 4

Annotation.....5

შესავალი 6

თავი I - ლიტერატურის მიმოხილვა.....8

თავი II - დაუსწრებელი გადაწყვეტილება - არსი და პირობები 9

2.1. დაუსწრებელი გადაწყვეტილების განვითარების ისტორია 9

2.2.. დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი 11

2.3. მხარის სათანადო ინფორმირება, როგორც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებელი პირობა 13

2.3.1 . საჯარო შეტყობინების არსი 15

2.4. წარმორმადგენლის სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგი..... 17

2.4.1. მოსარჩელე მხარის გამოუცხადებლობა..... 19

2.4.2. მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობა..... 20

2.4.3.ორივე მხარის გამოუცხადებლობა 21

2.5. შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები. 24

2.6..მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მისი განსხვავება განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებისგან 26

თავი III - დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დაუშვებლობა და გასაჩივრების წესი..29

3.1 დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დაუშვებლობის საფუძვლები 29

3.2. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა საოჯახო სამართალში 31

3.3 დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი..... 33

3.4. სასამართლოს უფლებამოსილება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვისას 38

თავი IV. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თავისებურებების სააპელაციო სასამართლოში 45

4.1 სააპელაციო ინსტანციის არსი 45

4.2 მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას .. 46

4.3 შესაგებლის წარმოუდგენლობის შედეგები სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას 47

თავი V - კვლევის შედეგები.....49

დასკვნა.....50

გამოყენებული ლიტერატურა.....53

ანოტაცია

სამოქალაქო საქმეებზე დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება მინიჭებული აქვთ საქართველოს საერთო სასამართლოებს.

სამოქალაქო პროცესის მონაწილეს აქვს გონივრული მოლოდინი სასამართლოსაგან, რომ მართლმსაჯულების განხორციელებისას საქმე განიხილება სრულად და ობიექტურად ამიტომაც, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში სასამართლო ვალდებულია თავისი მანდატის ფარგლებში, არა მარტო სწრაფად, არამედ არსებითად განიხილოს საქმე და მხოლოდ ამის საფუძველზე მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

დღეს არსებული საპროცესო კანონდებლობა, ითვალისწინებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას ერთ-ერთი მხარის წინააღმდეგ საქმის არსებითი განხილვის გარეშე, ისე, რომ სასამართლოს მიერ არ ხდება არც მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლა და არც მათი მოსაზრებების გამოკვლევა.

კანონმდებლის ძირითადი მიზანი დაუსწრებელი წარმოების ინსიტუტის დანერგვისას მდგომარეობდა საპროცესო ეკონომიის პრინციპითა და არაკეთილსინდისიერი მხარის მიმართ სადამსჯელო ღონისძიების გატარების სურვილით. დღეს არსებული დაუსწრებელი წარმოების მოდელით მიღწეულია კანონმდებლის ძირითადი მიზანი, თუმცა დარღვეულია ეფექტური მართლმსაჯულების პრინციპი.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას არსებული თეორიული და პრაქტიკული პრობლემების შედარებითი ანალიზი, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ჩამოყალიბებულ სასამართლო პრაქტიკასთან და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ სასამართლოს გადაწყვეტილებასთან მიმართებაში.

Annotation

The Common Courts of Georgia have the power to hear civil cases to make the aplicant whole in their rights. The Parties of a civil dispute have a reasonable expectation from the Courts that they shall hear the cases in full and decide them objectively. The Courts should also insure a speedy trial for the parties of the dispute, but at the same time they must fulfil their mandate by examining the evidence and ruling based on them.

The existing Georgian Code of Civil Procedure also provides the procedural institute of a Trial in Absentia. In case of non-appearance at the proceedings, the court has the power to rule against the absent party without hearing the case or taking the evidence into account.

The Legislative purpose for adopting the institute of Trial in Absentia is motivated with the principle of a speedy trial. Also, the law is punishing the party for non-appearance in court. These purposes are met through this means at the price of justice not being served in a certain dispute and the court being an ineffective guardian of the rights.

This paper addresses the theoritical and practical issues of trial in absentia. The legislation is analyzed through comparative method, the relevant case law is also studied, as well as the landmark rulings of the European Court of Human Rights. The ultimate purpose of this paper is to shed light on the procedural issues in legislation and case law concerning trial in absetia and to work out specific recommendations to tackle them effectively

შესავალი

კვლევის აქტუალობა: სამოქალაქო მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა ექვემდებარება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების განვითარების ამოცანების პრაქტიკული განხორციელების მიზნებს და მათ სუბიექტებს შორის კონფლიქტების მოგვარების მექანიზმის გაუმჯობესებას. სასამართლო პროცესის ეფექტიანი განხორციელება ხელს უწყობს კანონის უზენაესობის განმტკიცებას, სამოქალაქო სამართლის ურთიერთობების დარღვევის თავიდან აცილებას, დარღვეული ან სადავო უფლებების დაცვას, თავისუფლებებსა და მოქალაქეთა, ორგანიზაციებისა და მათი ასოციაციების ინტერესების კანონის ფარგლებშიდაცვას, ასევე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას. ამავე დროს, აუცილებელია ისეთი ნორმების შექმნა, რომელიც ეფექტურად იმოქმედებს სამოქალაქო სამართალწარმოების მონაწილეთა საპროცესო დისციპლინის გაძლიერებაზე.

თანამედროვე სამოქალაქო პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია შეჯიბრებითობის პრინციპი. ამ პრინციპის შესაბამისად, მხარეებზეა დამოკიდებული,მიიღებენ თუ არა მონაწილეობას სასამართლო განხილვის პროცესში, ხოლო ამ პროცესში მონაწილეობის თავიდან აცილებამ, შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები არა სასამართლოს, არამედ მხარისთვის. პირველი ინსტანციის სასამართლოში შეჯიბრებობითობის პრინციპის განხორციელების ერთ – ერთი ფორმაა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დაუსწრებელი პროცედურა, რასაც უწოდებენ დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

დღეისათვის არსებული საპროცესო კანონმდებლობა, ითვალისიწნებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას ისე, რომ სასამართლოს მიერ არ ხდება მხარეთა მოსაზრებების გამოკვლევა და მათი წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლა. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი ძალიან ცნობილია მთელს მსოფლიოში. როგორც სხვა ქვეყნები, ასევე საქართველოც ითვალისწინებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტს. დაუსწრებელი გადაწყვეტილება ძალიან განსხვავდება ჩვეულებრივი გადაწყვეტილებისგან და ამ გადაწყვეტილების მიღება დაშვებულია მხოლოდ განსაკუთრებული პირობების არსებობისას. ხშირად მას განიხილავენ როგორც ერთგვარ სადამსჯელო ღონისძიებას. (MyAdvokat, 2018)

სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მხარე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება დადგენილი წესით. გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია, როგორც მოპასუხის ასევე მოსარჩელის სასარგებლოდ.

სამართალწარმოებაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი არის დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის გამოვლინება.(ლექვინაძე, 2018)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთი გადაწყვეტილების გამოტანისთვის, აუცილებელია კმაყოფილდებოდეს/არსებობდეს გარკვეული წინაპირობები და გარემოებები, რომელსაც მოსამართლე გაითვალისიწინებს და ამის შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას. (ლექვინაძე, 2018)

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავში განხილულია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მისი სახეები, არსი და შინაარსი, გასაჩივრება, დაუშვებლობა და სხვა. (რომელსაც განვიხილავთ ნაშრომში მოგვიანებით) (საქართველოს პარლამენტი, 1997)

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანია დაუსწრებელი გადაწყვეტილების არსის უკეთ გაგება,

კვლევის ამოცანა: კვლევის ამოცანაა უკეთ დაგვანახოს ყველა ის ასპექტი, რომელიც მნიშვნელოვანია დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას. თუ რა უნდა გავითვალისწინოთ ასეთ სიტუაციაში, რა გამოწვევები ახლავს ასეთი გადაწყვეტილების მიღებას.

კვლევის მეთოდები: კვლევა ჩატარდა ლიტერატურის მიმოხილვით და დოკუმენტების ანალიზით. ლიტერატურაში გამოყენებულ იქნა ინტერნეტ რესურსები (რომელიც მითითებულია გამოყენებულ ლიტერატურაში) ხოლო დოკუმენტების ანალიზში გამოყენებულია ადგილობრივი და საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები, კანონები, აქტები.

თავი I - ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული იქნა სხვადასხვა სახის, როგორც ქართული ასევე უცხოური წყაროები. ნაშრომში ვხვდებით ადგილობრივ და საერთაშორისო ნორმატიულ აქტებს (კანონებს წესებს..) მაგალითად როგორიცაა : „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“. ასევე მიმოვიხილავთ სამეცნიერო ლიტერატურას, მაგალითად ისეთ წიგნებს, როგორებიცაა: შ. ქურდაძის და ნ. ხუნაშვილის „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი“; ასევე „დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პრობლემები, სამართალი და მსოფლიო“; ჰ. ბოელინგისა და ლ. ჭანტურიას „სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა“. ასევე ვხვდებით სხვადასხვა სტატიას და ონლაინ ლექციას. ადგილობრივი ნორმატიული აქტების გამოყენებამ, საშუალება მოგვცა უფრო ნათლად დავენახა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხები ქართულ კანონმდებლობაში, მისი მირების პირობები, გასაჩივრების წესები და ა.შ.

ყველა გამოყენებულ წიგნსა თუ სხვა წყაროში განხილულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების სხვადასხვა მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხი. გაანალიზებულია მისი მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში.

ნაშრომში ასევე დაუსწრებელი გადაწყვეტილებების სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების უკეთ გასააზრებლად, მაგალიტებად მოყვანილია საქმეები ქართული სასამართლო პრაქტიკიდან.

ყველა აღნიშნული და ნაშრომში გამოყენებული მასალა, საშუალებას იძლება მკითხველს ნათლად დაანახოს და გააზრებინოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და მხარე.

თავი II - დაუსწრებელი გადაწყვეტილება - არსი და პირობები

2.1. დაუსწრებელი გადაწყვეტილების განვითარების ისტორია

დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც ჯერ კიდევ რომის სამართლის პროცესში გამოჩნდა, დიდი ხანია გამოიყენება მსოფლიო იურიდიულ პრაქტიკაში და რეკომენდირებულია, როგორც ეფექტური სამართლებრივი საშუალება სამართლიანობის ხელში. მხარის მიერ უნდა იყოს გაცნობიერებული, რომ მის წინააღმდეგწარდგენილი სარჩელი დაკმაყოფილდება სასამართლოს მიერ, თუ იგი პასიური იქნება, ან უარს იტყვის პროცესში მონაწილეობაზე, გონივრული/საპატიო მიზეზის გარეშე. პირიქით, მან აქტიურად უნდა მიიღოს მონაწილეობა სასამართლო განხილვაში და გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილებები პირველივე სასამართლო პროცესზე, რაც დადებითად მოქმედებს სამოქალაქო დავების განხილვის დაჩქარებაზე. (საქართველოს პარლამენტი, 1997).

დაუსწრებელი საქმის წარმოების ინსტიტუტის განვითარების ისტორია ნათლად გვაჩვენებს, რომ მისი შექმნის ეტაპზე გამოყენებულია „დაუსწრებლობის“ ცნება სიტყვასიტყვით. რის მიხედვითაც იგი არის გადაწყვეტილება, რომელიც დაფუძნებულია ერთი მხარის გამოუცხადებლობის ფაქტზე. თავდაპირველად, მისი შედეგი წინასწარ განსაზღვრული იყო იმ მნიშვნელობის გამო, რომ მოპასუხე არ გამოცხადდა. ამდენად, რომაულ სამართალში იყო დებულება, რომელიც მოსარჩელეს ანიჭებდა უფლებას, გამოიყენოს მოპასუხის ქონება, რომელმაც თავი აარიდა სასამართლოს. ”ის ადამიანი, ვინც არ იცავს თავის თავს (არ გამოცხადდება სასამართლოში დასაცავად) და იმალება, ექვემდებარება სათანადო დასჯას. ხშირ შემთხვევაში მოსამართლე აკმაყოფილებდა დამსწრე მხარის მოთხოვნებს, საქმის კანონიერად განხილვის გარეშე, რადგან პროცესზე დაუსწრებლობა მიიჩნეოდა უკვე განსჯის საკითხად. ამასთან, არ არსებობდა დაუსწრებლად წარმოების ისეთი მნიშვნელოვანი ნიშანი, როგორიცაა ბრალდებულის შესაძლებლობა გაასაჩივროს გადაწყვეტილება გამარტივებული წესით. (Заочное производство в гражданском процессе, 2009)

ისტორიულად, კანონმდებელი, ხელმძღვანელობდა მოსაზრებით, რომ რომელიმე მხარის არყოფნა წარმოადგენს დაბრკოლებას საქმის სწორად მოგვარებაშიდა მიიჩნევდა, რომ თუ მხარე არ გამოცხადდებოდა განხილვაზე, ეს იყო სასამართლოს და საზოგადოებრივი წესრიგის შეურაცხყოფა. (მერებაშვილი, 2007)

რომის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების საპროცესო ინსტიტუტმა მრავალი ქვეყნის საპროცესო კოდექსში დაიდო ადგილი. მისი არსი ძირითადად მდგომარეობს, სხდომაზე გამოუცხადებელი მხარის მიმართ, რომელიც არაკეთილსინდისიერად მოიქცა, სანქციის გამოყენებას, რაც მდგომარეობს ამ მხარის მოსმენის გარეშე გადაწყვეტილების მიღებაში. (მერებაშვილი, 2007)

1864 წელს, სამოქალაქო საპროცესო ქარტიამ, საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო წესდების მოდელის საფუძველზე, შემოიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი, ანუ საქმეში მიღებული გადაწყვეტილება ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე, რომელიც არ გამოცხადდა და არ ითხოვდა საქმის განხილვას მისი მონაწილეობის გარეშე.(მერებაშვილი, 2007)

ინგლისში, დაუსწრებელი პირის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიმართული იყოს მოპასუხის წინააღმდეგ ან მესამე მხარის მიმართ, ბრალდებულის მიერ წარდგენილი სარჩელის შესაბამისად. ეს ნიშნავს, რომ დაუსწრებლად გადაწყვეტილების მოთხოვნის უფლება ეკუთვნის როგორც მოსარჩელეს, ასევე მოპასუხეს, მაგრამ ეს უკანასკნელი თავად მოქმედებს როგორც მოსარჩელე მესამე მხარის მიმართ.(მერებაშვილი, 2007)

რაც შეეხება საქართველოს, აქ დაუსწრებელი გადაწყვეტილების საპროცესო ინსტიტუტის ჩამოყალიბება ეხება საბჭოთა საქართველოში საქმეთა განხილვის დროში გაწელილ პრაქტიკას. (თვარაძე, 2011)

ჩვენს ქვეყანაში აღნიშნულ ინსტიტუტს დაახლოებით 23 წლიანი პრაქტიკა აქვს. ამ დროის მანძილზე მრავალი ცვლილება მოხდა მის ნორმებში. ერთ-ერთი ასეთი ცვლილება ეხება იმ ფაქტს, რომ დაუსწრებლად მიიღება გადაწყვეტილება, თუ მხარემ დროულად და საპატიო მიზეზის გარეშე არ წარადგინა შესაგებელი,(საქართველოს პარლამენტი, 1997) [1]რასაც უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ნაშრომში.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, განვითარების დიდი ისტორიული გზის გავლით, დაუსწრებელი საქმის წარმოების ინსტიტუტმა თავისი კანონიერი ადგილი დაიკავა სამოქალაქო პროცესში.

სასამართლოსთვის გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია დავაში მონაწილე ყველა მხარის მოსაზრების მოსმენა და მტკიცებულებების გაცნობა იმისათვის, რომ ეს გადაწყვეტილება იყოს სამართლიანი და ობიექტური. თუმცა, როგორც უკვე წინა თავებშიც ავღნიშნეთ, არსებობს განსაკუთრებული შემთხვევები, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს ერთ-ერთი

[1] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი - 1997 - თავი XXVI

მხარის პოზიციის, მოსაზრებების მოსმენის გარეშე, მის დაუსწრებლად. (საქართველოს პარლამენტი, 1997)

დაუსწრებლი გადაწყვეტილების მიღების პროცედურა ექვემდებარება სასამართლო განხილვის ზოგად წესებს, მაგრამ აქვს მთელი რიგი თვისებები, რომლებიც ძალზე მნიშვნელოვანია. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველია საქმის სასამართლო განხილვისას ერთ-ერთი მხარის ფაქტობრივი არყოფნა. მხარის გამოუცხადებლობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პროცესზე. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას მხარეებს შორის არ არსებობს სიტყვიერი დებატები. დაუსწრებელი პროცესი არ არის კონკურენტუნარიანი. ზეპირი ახსნა მხოლოდ ერთი მხრიდან მოდის, მტკიცებულებების შესწავლაში მხოლოდ ერთი მხარე მონაწილეობს - ეს არის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ერთ – ერთი ნიშანი. ასეთ შემთხვევაში ნებისმიერი საპროცესო საკითხი წყდება არა ყოვლისმომცველი დისკუსიის, არამედ „ცალმხრივ"საფუძველზე. (Заочное производство в гражданском процессе, 2009)

იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ დაუსწრებელი გადაწყვეტილების არსი და ის პირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც მიიღება ეს გადაწყვეტილება, აუცილებელია ცალ-ცალკე განვიხილოთ თითოეული მათგანი.

2.2.. დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი

სასამართლოს გადაწყვეტილება არის მართლმსაჯულების აქტი, რომლის მიმართაც კანონი ადგენს განსაკუთრებულ მოთხოვნებს შინაარსის ჩამოყალიბების დროს[2]. დაუსწრებელი გადაწყვეტილების სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება სასამართლოს იმ გადაწყვეტილებისაგან, რომელზეც მოსამართლემ არსებითად იმსჯელა. სსსკ-ის 249-ე მუხლი ადგენს ზოგადად სასამართლოს გადაწყვეტილებების სტრუქტურის ფორმას. კანონის მოთხოვნების თანახმად სასამართლო გადაწყვეტილება შედგება ოთხი ნაწილისგან: შესავალი ნაწილი, აღწერილობითი ნაწილი, სამოტივაციო ნაწილი და სარეზოლუციო ნაწილი[3].

---

[2] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 249-ე მუხლი.საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე.

[3] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 249-ე მუხლი.საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე.

გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში მიეთითება: გადაწყვეტილების გამოტანის დრო, ადგილი, გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო, სასამართლო შემადგენლობა, სხდომის მდივანი, მხარეები და მათი წარმომადგენლები. შესავალ ნაწილში, ასევე უნდა მიეთითოს დავის საგანი და სასამართლოს მიერ საქმის განხილვის წესი (ღია თუ დახურული)[4].

გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში ეთითება, ინფორმაცია მოსარჩელის მოთხოვნის შესახებ, ასევე განხილულია მოპასუხე და მესამე პირების პოზიცია დავის საგანთან მიმართ. აღწერილობით ნაწილში აუცილებლად მისათითებელ კრიტერიუმს წარმოადგენს სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი და ის მტკიცებულებები, რომლებსაც შემდგომში დაემყარება სასამართლოს დასკვნები[5].

რაც შეეხება სამოტივაციო ნაწილს, მასში ხდება შეფასება იმ კანონების რომლითაც სასამართლო ხემძღვანელობდა.

ბოლო ნაწილს კი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ეწოდება მასში მიეთითება სასამართლოს ის დასკვნები რის გამოც ან რის საფუძველზეც არ დაკმაყოფილდა ან დაკმაყოფილდა სარჩელი, ინფორმაცია სასამართლო ხარჯების გადანაწილების შესახებ და გასაჩივრების წესზე. დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსიც, კანონის თანახმად, უნდა ჩამოყალიბდეს 249-ე მუხლის შესაბამისად, თუმცა მასში არ უნდა შევიდეს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი. ვაინაიდან, სასამართლო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დროს არ მსჯელობს არც წარმოდგენილი მტკიცებულებების სანდოობაზე და არც მათ სიყალბეზე. ამიტომაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი ყალიბდება დასაბუთების გარეშე[6].

განსხვავებას ვხვდებით, ასევე დაუსწრებელი გადაწყვეტილების შესავალი ნაწილის ჩამოყალიბების დროსაც, შესავალ ნაწილში სხვა ყველა სსსკ-ის 249-ე მუხლით გათვალიწინებული გარემოებისა, ასევე დამატებით ეთითება, რომ გადაწყვეტილება მიღებულია მხარეთა დაუსწრებლად. ხოლო რაც შეეხება იმ დაუსწრებელი გადაწყვეტილებების აღწერილობით ნაწილს,

---

[4] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 249-ე მუხლი.საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე.

[5] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 249-ე მუხლი.საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე.

[6] შ. ქურდაძე და ნ. ხუნაშვილი.საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, რედაქტორი რომან შენგელია,.(თბილისი: მერიდიანი 2012): 610

რომელიც მოპასუხე მხარის მიმართ არის გამოტანილი აუცილებელ კომპონენტად მიიჩნევა მიეთითოს, რომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ითვლება დამტკიცებულად[7].

რაც შეეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს მასში „გარდა სარეზოლუციო ნაწილისთვის კანონით დადგენილი მოთხოვნებისა, უნდა აისახოს პერსონიფიცირებული ჩანაწერი: "საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ მხარემ შეიძლება შეიტანოს 10 დღის განმავლობაში, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში"[8].

დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსთან მიმართებაში ასევე საინტერესოა ასეთი ტიპის სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადების წესიც. სსსკ-ის 257-ე მუხლის მიხედვით[9], მოსამართლე სათათბირო ოთახში გაუსვლელად ანუ ადგილზე თათბირით უფლებამოსილია გამოაცხადოს გადაწყვეტილება. კანონში არაფერი არ არის მითითებული დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში თუ რა ფორმით უნდა იქნას იგი მოსამართლის მიერ გამოცხადებული. ლოგიკურად დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დროს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები დადასტურებულია, ამიტომაც მოსამართლეს აქვს უფლება მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში იხელმძღვანელოს სსსკ-ის 257-ე მუხლის თანხმად და სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოაცხადოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან გადადოს გადაწყვეტილების გამოცხადება[10].

2.3. მხარის სათანადო ინფორმირება, როგორც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებელი პირობა

საპროცესო კოდექსის მიხედვით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლად მიიჩნევა სასამართლო უწყების ჩაბარების წესის დარღვევა, თუ მხარეს საქართველოს

[7] შ. ქურდაძე და ნ. ხუნაშვილი.საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, რედაქტორი რომან შენგელია,.(თბილისი: მერიდიანი 2012): 610

[8] შ. ქურდაძე და ნ. ხუნაშვილი.საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, რედაქტორი რომან შენგელია,.(თბილისი: მერიდიანი 2012): 610

[9] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 257-ე მუხლი.საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე.

[10] შ. ქურდაძე და ნ. ხუნაშვილი.საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, რედაქტორი რომან შენგელია,(თბილისი: მერიდიანი 2012): 610

სამოქალაქო საპროცესო 70-78-ე მუხლის დაცვით არ გაეგზავნა შეტყობინება და სარჩელის განხილვა მოხდა მხარის შეუტყობინებლად, 394-ე მუხლის მიხედვით ეს გარემოება გახდება გადაწყვეტილების აბსოლუტური გაუქმების საფუძველი[11].

საპროცესო კანონდებლობა უწყების ჩაბარების რამდენიმე საშუალებას იცნობს, მათ შორის: საფოსტო გზავნილი, სატელეფონო შეტყობინება, ფაქსი, ან მხარეთა მიერ შეთანხმებული განსხვავებული საკომუნიკაციო სფერო. ყურადსაღებია თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტება უწყების სატელეფონო საშუალებით ჩაბარების საკითხთან მიმართებაში. სასამართლო ერთ-ერთ საქმეზე განმარტავს - თუ მხარეს უწყება ბარდება სატელეფონო აქტის მეშვეობით იმ ნომერზე, რომელიც მხარის მიერ დაფიქსირებული იყო წარმოდგენილ რომელიმე საპროცესო დოკუმენტში, შემდგომში კი აღნიშნული ნომერს ის ოჯახში არამუდმივად მყოფ პირს გადასცემს, შემდეგ კი ამ პიროვნების მიერ მოხდება უწყების ჩაბარება, რა საფუძვლითაც პირი სხდომაზე არ გამოცხადდება, სასამართლოს მხრიდან აღნიშნული გამოუცხადებლობა შემდგომში არ იქნება შეფასებული, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად[12].

რაც შეეხება ფოსტის მეშვეობით სასამართლო უწყების ჩაბარების წესს, სასამართლო პრაქტიკა სრულ შესაბამისობაში მოდის სსსკ-ის 70-78-ე მუხლებთან. კანონის მიხედვით უწყება ეგზავნება მხარის მიერ მითითებულ ან სასამართლოსთვის ცნობილ მისამართზე. მხარის მიერ ძირითად მისამართზე უწყების ჩაუბარებლობის შემთხვევაში უწყება იგზავნება ალტერნატიულ მისამართზე. სასამართლოს მიერ ალტერნატიული მისამართის პრაქტიკაში არსებული გადამოწმების ერთ-ერთ კარგ საშუალებად მიიჩნევა ცენტრალური საარჩევნო კომისის ვებ-გვერდი (http://cesko.ge/), სადაც შეიძლება პიროვნების პირადი ნომრისა და გვარის მეშვეობით მოიძიო ადრესატის რეგისტრირებული მისამართი. გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება უწყების გაგზავნის წესი შესრულებულად, თუ მხარე მინიმუმ ორჯერ მაინც გაუგზავნის მხარეს უწყებას მისთვის ცნობილ მისამართზე. გასათვალისწინებელია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს პრაქტიკაში უკვე აქტიურად დაინერგა ასევე სასამართლოს კურიერის მიერ უწყების ჩაბარების წესი. (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი)

იმ შემთხვევაში თუ უწყება ვერ ბარდება ვერცერთ მისამართზე, სასამართლო მიმართავს კონკრეტულ რაიონში არსებულ შსს ტერიტორიულ საუბნო სამსახურს ან საჯარო შეტყობინებას აქვეყნებს სასამართლოს ვებ-გვერდზე, ან სასამართლოს შენობაში არსებულ სტენდზე.

---

[11] თენგიზ, ლილუაშვილი.სამოქალაქო პროცესუალური სამართალი II გამოცემა.(თბილისი: ჯისიაი 2005): 394

[12] თბილისის საპელაციო სასამართლოს 2016წლის 29 მარტის განჩინება საქმეზე საქმეზე №2ბ/33-15 http://library.court.ge/judgements/14942017-04-17.pdf (06/05/2018)

2.3.1 . საჯარო შეტყობინების არსი

სსსკ-ის 78-ე მუხლის მიხედვით „თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით[13].“

საპროცესო კოდექსის მიხედვით სასამართლო გზავნილის და ასევე სასამართლო უწყების ჩაბარების წესი ერთი და იგივეა. ცალსახაა, რომ მოსარჩელე, როგორც დაინტერესებული მხარე, არასდროს ეცდება აღნიშნული უწყების, ან გზავნილის გაზეთში საკუთარი ხარჯებით გამოქვეყნებას და მხარის ინფორმირებას. ვინაიდან თუ მოპასუხე მხარე პოლიციის ან საჯარო შეტყობინების გავრცელების შემდეგაც არ განახორციელებს რომელიმე საპროცესო მოქმედებას, მის მიმართ მაინც გამოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ერთმნიშვნელოვანია, რომ საერთო სასამართლოების ვებ-გვერდი, რომელიც სასამართლოსთვის საჯარო შეტყობინების გამოქვეყნების ერთ-ერთ საშუალებად მიიჩნევა დღეისათვის მხოლოდ იურისტებისთვისა და ამ სფეროთი დაინტერესებული პირებისათვის არის ცნობილი[14]. ამავე დროს საიტით სარგებლობა საკმაოდ მოუხერხებელია, ვინაიდან საჭიროებს გარკვეული ტიპის ინფორმაციის ფლობას. განსაკუთრებით საინტერესოა საჯარო შეტყობინების გამოქვეყნების ეს წესი თუ მას განვიხილავთ მოპასუხე მხარესთან მიმართებაში საქმის პირველ ინსტანციაში განხილვის დროს. ამ ეტაპზე მოპასუხე მხარისათვის საერთოდ არ არის ცნობილი შესაძლო დავის შესახებ და ალოგიკურია თუ როგორ უნდა გადაამოწმოს მის შესახებ არსებული საჯარო ინფორმაცია, იმ ფონზე, რომ არსებული საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ განჩინება, რომელიც განთავსებულია საიტზე არ შეიცავს

---

[13] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 78-ე მუხლი.საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=126 (16.06.2018)

[14] იუსტიციის უმაღლესი საბჭო. საქართველოს საერთოს სასამართლოთა დეპარტამენტი.2018 http://www.geocourts.ge/ (20.06.2018)

კონკრეტული პიროვნების პირად ნომერს და მხოლოდ სახელი, გვარი და მისამართია მითითებული.

საჯარო შეტყობინების გავრცელების ინსიტუტს ხშირად მხოლოდ ფორმალური დატვირტვა აქვს. ერთ-ერთ საქმეზე პალატამ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გააუქმა და განმარტა „სასამართლოსათვის ცნობილი იყო მხოლოდ ის, რომ ამ გზავნილის მიტანის მომენტში მოპასუხე იმყოფებოდა საზღვარგარეთ და უცნობი იყო მოპასუხე საზღვარგარეთ საცხოვრებლად იყო წასული თუ იმყოფებოდა დროებით ვიზიტის ფარგლებში. შესაბამისად, პალატას მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების განხორციელების წინაპირობები და ასეთი შეტყობინება არ ითვლება კანონით დადგენილი წესით გზავნილის მხარისათვის ჩაბარებად[15].“

პრეცედენტულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ,,გახარია საქართველოს წინააღმდეგ“. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა და მიუთითა: „სასამართლო არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ სასამართლო უწყებებისა და გადაწყვეტილებების ჩაბარება მათი მედიაში გამოქვეყნების საშუალებით შეიძლება ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს, რომ უზრუნველყოფილი იყოს საქმის წარმოების სისწრაფე და ეფექტურობა“. მაგრამ აქვეა აღნიშნული: „ ...ეს პროცედურა არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა პროცედურული გარანტიების, განსაკუთრებით, მხარეთა თანასწორობის პრინციპის, საზიანოდ (იხ. 34-ე პარაგრაფი). შესაბამის პერიოდში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო უწყებების ჩაბარება მათი გამოქვეყნების გზით უნდა ყოფილიყო გამოყენებული სათანადო გულისხმიერებით და როგორც უკიდურესი ღონისძიება (იხ. სსკ-ის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილი; ასევე, იხილეთ აღნიშნულთან დაკავშირებით ზემოთ მოხსენიებული მიჰოლაპას საქმე, § 29). სასამართლოს აზრით, ამ წესის ხისტმა გამოყენებამ მიმდინარე საქმეში შეამცირა მომჩივნის შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო საქმის წარმოებაში და დაეცვა თავისი ინტერესები[16]“.

სასამართლომ დაადგინა, რომ ქართული სასამართლოს მიერ დოკუმენტის ჩაბარების წესი ფორმალურად იყო დაცული და არ ითვალისწინებდა საქმის გარემოებებს. სასამართლოსთვის ცნობილი იყო, რომ მხარე იმყოფებოდა საზღვარგარეთ და აშკარა იყო, რომ მას არც სასამართლო

---

[15] თბილისის სააპელაციო სასამართლო2016 წლის 09 სექტემბერი განჩინება საქმეზე №2ბ/2815-16 http://www.library.court.ge/judgements/48192016-12-21.pdf (06/05/2018):5

[16] თბილისის სააპელაციო სასამართლო2016 წლის 09 სექტემბერი განჩინება საქმეზე №2ბ/2815-16 http://www.library.court.ge/judgements/48192016-12-21.pdf (06/05/2018):5

გადაწყვეტილებები და არც უწყებები არ ჩაბარდებოდა, ამიტომაც სასამართლოს მიერ ფორმალურად დაცულმა პროცედურამ მხარეს შეუზღუდა სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება, რომელიც დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით. სასამართლოს მიერ მიღებული ამ გადაწყვეტილებების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საჯარო შეტყობინების ამ ფორმით ჩაბარების წესი დღეის მდგომარეობით არაქმედითია და მას მხოლოდ ფორმალური დატვირტვა აქვს. [17]

2.4. წარმორმადგენლის სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგი

მსოფლიოს მრავალი სასამართლოები სამართლებრივი სისტემისათვის ცნობილია დაუსწრებელი გადაწყეტილების ინსტიტუტი. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი წარმოადგენს შეჯიბრებითობის პრინციპის განხორციელების, მხარეთა მოქმედების და უმოქმედობის „გამო მხარეთა პასუხისმგებლობის დონის ამაღლების დამატებით გარანტიას“ ამავდროულად ხელს უწყობს დავების გადაწყვეტის დაჩქარებას, სასამართლოების უფრო ოპერატიულად მუშაობას. სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის გამარტივებული ვარიანტია, როცა სხდომაზე არ ცხადდებიან სათანადო წესით დაბარებული მხარეები, რომლებმაც არ შეატყობინეს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზი ან როცა მოპასუხე არ წარმოადგენს შესაგებელს სარჩელის წინააღმდეგ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ზემო აღნიშნულის ამოცანაა საპროცეწსო ფორმით გათვალისიწნებული წესების გამარტივება. [18]

ამა თუ იმ მხარის გამოუცხადებლობა ან მოპასუხის მიერ სარჩელზე შესაგებლის წარმოუდგენლობა სასამართლოს არ აკისრებს გადაწყვეტილების უპირობოდ გამოტანის ვალდებულებას. არამედ კანონით გათვალისიწნებული პირობების არსებობის შემთხვევაში სასამართლოს არა თუ უფლება აქვს არ გამოიტანოს დაუწერებელი გადაწყვეტილება არამედ ვალდებულია აღნიშნულზე იმ შემთხვევაშაშიც თუ პირი სათანადოდ იყო გაფრთხილებული

[17] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი - 1997 - თავი XXVI

[18] ქურდაძე შალვა, ხუნაშვილი ნინო. "დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პრობლემები." სამართალი და მსოფლიო. თბილისი 2015;

სხდომის შესახებ. სასამართლოს უფლება და ვალდებულებაც აქვს „კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში არ გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება“. [19]

გამომდინარეობს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და თავისთავობის პრინციპიდან. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა არ გამოტანის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო აფასებს ერთობლიობაში ყველა გარემოებას, ითვალისიწნებს გამოუცხადებლობის ან შესაგებლის წარუდგენლობის საპატიობის განსაზღვრეს საქმის მასალებს, ითვალისიწნებს საქმეში მონაწილე და სხდომაზე გამოცხადებული მხარის მოსაზრებას ან ნებას, სამოქალაქო სამართალწარმოების ამოცანებს. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლოსთვის ყველაზე მთავარი უნდა იყოს გამოიტანოს კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება. [20]

მხარეთა გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი შეიძლება გახდეს როგორც მხარის, ისე მისი წარმომადგენლის გამოუცხადებლობა. მნიშვნელოვანია სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინება სწორედ ისეთი ტიპის დაუსწრებელ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში, როდესაც პროცესზე მხარე წარმოდგენილია წარმომადგენლის მეშვეობით. სასამართლო პრაქტიკა ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ სასამართლო სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის საპატიო გარემოება ვერ გახდება საფუძველი წარმომადგენლის არასაპატიოდ გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების არ მიღებისა. სუს-მა ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ „წარმომადგენლის ავადმყოფობის გამო მხარის გამოუცხადებლობა და ამის შესახებ სასამართლოსათვის წინასწარ შეუტყობინებლობის არსებობის ფაქტი ვერ გახდება მხარისათვის საპატიო გარემოება, ამ შემთხვევაში მხარე ვალდებულია გამოცხადდეს სხდომაზე და მოითხოვოს საქმის განხილვის გადადება“[21]. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ცალკე არ არეგულირებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირს წარმომადგენლობითი ფუნქციების განხორციელება უწევს ერთ დღესა და ერთ საათზე დანიშნულ სხვადასხვა სხდომებზე. აღნიშნული დარეგულირებულია მხოლოდ სასამართლო პრაქტიკით ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „სხდომაზე მხარის

---

[19] ქურდაძე შალვა, ხუნაშვილი ნინო. "დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პრობლემები." სამართალი და მსოფლიო. თბილისი 2015;

[20] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი - 1997 - თავი XXVI

[21] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 20დეკემბრის განჩინება საქმეზე N#ას-1024-960- 2010 http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx (16/06/2018)

გამოუცხადებლობა თუ გამოწვეულია მისგან გამოწვეული ობიექტური მიზეზით მათ შორის წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელებით სხვა სხდომაზე და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას ვერ ახერხებს, მაშინ აღნიშნული შემთხვევა არ შეიძლება გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი. ვინაიდან ცხადია, რომ ერთსა და იმავე დროს ორ სხვადასხვა სხდომაზე ერთდროულად გამოცხადება ფიზიკურად შეუძლებელია“[22].

2.4.1. მოსარჩელე მხარის გამოუცხადებლობა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელე მხარე არ გამოცხადდება საქმის განხილვაზე, მოპასუხის თანხმობით, სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებელია შემოწმდეს რამოდენიმე გარემოება, რომელსაც მიეკუთვნება: მიეწოდა თუ არა მოსარჩელეს ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით (სსსკ-ს 70-78 მუხლები), ხომ არ არსებობს რაიმე საპატიო მიზეზი, რის გამოც ვერ გამოცხადდა მოსარჩელე სხდომაზე. (საქართველოს პარლამენტი, 1997) [23]

იმ დროს, როდესაც სხდომაზე არ ცხადდება მოსარჩელე, მოპასუხეს ეძლევა რამდენიმე არჩევანი- მას შეუძლია სასამართლოსთან იშუამდგომლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, ასევე შესაძლებელია სარჩელი დარჩეს განუხილველად ან გადაიდოს სხდომა. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე არ არის თანახმა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებაზე და არ სურს მისი განუხილველად დატოვება, ინიშნება ახალი სხდომა, სადაც მოსარჩელის ხელმეორედ დაუსწრებლობის შემთხვევაში, მოსამართლეს აღარ ესაჭიროება მოპასუხის შუამდგომლობა და იღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. (საქართველოს პარლამენტი, 1997)

მუხლი 229. მოსარჩელის გამოუცხადებლობა

„1. თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის

[22] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 21 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-1352-1272- 2017 http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx (16/06/2018):პარაგრაფი 15.5
[23] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი - 1997 - თავი XXVI

საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.“ (საქართველოს პარლამენტი, 1997)

„2. თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. თუ მოპასუხე სარჩელის განუხილველად დატოვების წინააღმდეგია, სასამართლო გადადებს საქმის განხილვას. მოსარჩელის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.“ (საქართველოს პარლამენტი, 1997)

2.4.2. მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობა

სსსკ-ს 230-ე მუხლის მიხედვით, სხდომაზე გამოუცხადებლობისას არა მხოლოდ მოსარჩელეს, არამედ მოპასუხესაც ეკისრება პასუხისმგებლობა და ამ შემთხვევაშიც სასამართლო იღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. რა თქმა უნდა, აღნიშნულ შემთხვევაშიც უნდა შემოწმდეს, მიეწოდა თუ არა მოპასუხეს ინფორმაცია სსსკ-ს 70-78 მუხლების მიხედვით და ხომ არ არსებობს გამოუცხადებლობის რაიმე საპატიო მიზეზი.(საქართველოს პარლამენტი, 1997)ასეთი მიზეზების არ ქონის შემთხვევაში, მოსამართლე 230-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის მიხედვით იწყებს მოკვლევას, თუ რამდენად ამართლებს სარჩელში მითითებული გარემოებები სასარჩელო მოთხოვნას, ასეთ შემთხვევაში მოსამართლე აკმაყოფილებს სასარჩელო მოთხოვნას, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე უარს იტყვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე. (საქართველოს პარლამენტი, 1997)

ასევე აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხე არ ცხადდება სხდომაზე და მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მტკიცდება მხოლოდ ის გარემოებები, რომელსაც მოსარჩელე უთითებს სარჩელში და არა ისინი, რომელსაც იგი უთითებს ახსნა-განმარტებაში. „იმ შემთხვევაში თუ მოპასუხე სხდომაზე არ გამოცხადდება და მოსარჩელე მხარე ახსნა-განმარტების დროს ისეთ ფაქტობრივ გარემოებებ სუთითებს, რომლებიც არ იყო მოპასუხისათვის ცნობილი, ეს გარემოებები არ შეიძლება გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი“ (ჩხაიძე, 2012).

მუხლი 230. მოპასუხის გამოუცხადებლობა

1. „თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება.“ (საქართველოს პარლამენტი, 1997)

2. „თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე“. (საქართველოს პარლამენტი, 1997)

2.4.3.ორივე მხარის გამოუცხადებლობა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 231-ე მუხლის მიხედვით, თუ სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდება არცერთი მხარე, ამასთანავე, მათ მიეწოდათ ინფორმაცია სსსკ-ს 70-78-ე მუხლების მიხედვით, მაშინ მოსამართლე გამოიტანს სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინებას. (საქართველოს პარლამენტი, 1997) მოსამართლე სხდომას გადადებს მხოლოდ იმ შემთხევვაში, თუ რომელიმე მხარეს, ან მათ წარმომადგენლებს სათანადო წესის მიხედვით არ მიეწოდათ ინფორმაცია. სხვა შემთხვევაში სარჩელი დარჩება განუხილველი და მოსარჩელეს შეეძლება ხელმეორედ მიმართოს სასამართლოს ამ საქმესთან დაკავშირებით. (ლილუაშვილი, 2005).

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საშუალებას კანონი სხდომაზე ორივე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში არ ითვალისწინებს იმ საფუძვლიდან გამომდინარე, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიეკუთვნება ისეთი ტიპის გადაწყვეტილებას, რომელიც მიიღება ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ. მაგრამ თუ თუ სხდომაზე მხარეები არ ცხადდებიან ივარაუდება, რომ მათ დავის მიმართ ინტერესი დაკარგული აქვთ[24]. საყურადღებოა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე ან მოპასუხე მხარე არ გამოცხადდა და არსებობდა 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გამოუცხადებლობის საპატიო გარემოება, მოსარჩელე

[24] თენგიზ ლილუაშვილი. სამოქალაქო პროცესუალური სამართალი II(გამოცემა.თბილისი: ჯისიაი2005 გვ.399);

მხარეს აქვს უფლება კერძო საჩივრით გასაჩივროს სარჩელის განუხილველად დატოვების განჩინება, ან განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ისევ მიმართოს სასამართლოს იმავე დავის საგანთან მიმართებაში ახალი სასარჩელო წარმოებით[25]. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე განიხილება პირველ ინსტანციაში და ამ საქმესთან დაკავშირებით არ არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება. რაც შეეხება მეორე ინსტანციაში საქმის განხილვის დროს, თუ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი ორივე მხარის გამოცხადებობის გამო, მხარეს აქვს უფლება გაასაჩივროს მხოლოდ სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ სასამართლოს განჩინება. იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო სასამართლოს მიერ არ იქნა აღნიშნული განჩინება გაუქმებული, ძალაში რჩება ამ საქმეზე არსებული პირველი ინსტანცის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც საკასაციო სასამართლოს საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის განჩინებით შედის კანონიერ ძალაში. ეს შემდგომში მხარეს უკარგავს საშუალებას მიმართოს სასამართლოს იმავე დავის საგანთან მიმართებაში კიდევ ერთხელ ვინაიდან, აღნიშნულ დავის საგანთან მიმართებაში საქმეზე უკვე კანონიერ ძალაში შესული პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება იარსებებს. [26]

რაც, შეეხება სასამართლო სხდომაზე ორივე მხარის გამოუცხადებლობის შესახებ სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ საჩივარს სასამარტლო მის აუცილებელ დასაბუთებულის კრიტერიუმად მიიჩნევს სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საპატიობის დამადასტურებელი გარემოებების ახსნას. ყოველივე, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კანონი ორივე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევას არ ითვალისწინებს და მხოლოდ მას ამ დროს სადამსჯელო ბერკეთად მხარებისათვის სარჩელის განუხილველად დატოვების განჩინება მიაჩნია.

რა შემთხვევაში იღებს სასამართლო დაუსწრებელ გადაწყვეტილებას?

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტს, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვეულებრივი სასამართლო გადაწყვეტილებისგან და მისი მიღება დაიშვება მხოლოდ გარკვეული წინაპირობების არსებობისას.

[25] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 231-ე და 278-ე მუხლები .საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=126 (16.06.2018)

[26] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი - 1997 - თავი XXVI

დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შესაძლებელია, განვიხილოთ ერთგვარ სადამსჯელო ღონისძიებად.

ქართულ კანონმდებლობაში დაუსწრებელ გადაწყვეტილებას ვხვდებით „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ XXVI თავში, კერძოდ 229-242 მუხლებში.

სასამართლო უფლებამოსილია , მიიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება:

თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება მხარე (მოსარჩელე ან მოპასუხე). გამოუცხადებლად ითვლება. ასევე, მხარე, რომელიც სასამართლო სხდომაზე დანიშნულ დროს გამოცხადდა , მაგრამ უარს ამბობს საქმის განხილვაში მონაწილეობაზე; (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი 229-242)

თუ მოპასუხე არასაპატიო მიზეზით არ წარმოადგენს შესაგებელს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ასეთ პირობებში , სასამართლო დაუსწრებელ გადაწყვეტილებას იღებს საქმის ზეპირ მოსმენაზე განხილვის გარეშე. (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი 229-242)

თუ მოსამართლე სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე , რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით ეცნობა სხდომის თარიღი, სასამართლო უფლებამოსილია , მიიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ , მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის თაობაზე მოპასუხე იშუამდგომლებს. (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი 229-242)[27]

თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე მხარე, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით ეცნობა სხდომის თაობაზე და მოსარჩელე მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სარჩელი მითითებული ფაქტობრივი გარემოები დამტკიცებულად ჩაითვლება სასამართლოს მიერ საკითხის დამატებით გამოკლევის გარეშე. მოცემულ შემთხვევაში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სარჩელის სამართლებრივ გამართულობას , ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაკმაყოფილდება , თუ სარჩელი მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას . წინააღმდეგ შემთხვევაში , მოპასუხის გამოუცხადებლობის მიუხედავად , სასამართლო მოსარჩელეს უარს ეტყვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი 229-242)

[27] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი - 1997 - თავი XXVI

განსაზღვრულ ვადაში მოპასუხის მიერ არასაპატიო მიზეზით შესაგებლის წარმოუდგენლობის პირობებში მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს , თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას , წინააღმდეგ შემთხვევაში , მოსამართლე ნიშნავს სხდომას. ამ შემთხვევაში , მოპასუხე სანქციონირებულია იმით , რომ მისგან მტკიცებულებების მიღება არ ხდება. მას შეუძლია, გამოთქვას მხოლოდ სამართლებრივი მოსაზრებები სარჩელში მითითებული გარემოებების მიმართ. (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი 229-242)

როგორც უკვე ავღნიშნეთ, მოცემული პირობები გვხვდება „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ XXVI თავში

2.5. შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები.

საპროცესო კოდექსის 2321 -ე მუხლი განმარტავს, მოპასუხე მხარის მიერ შესაგებლის წამოუდგენლობის შედეგს[28]. თუ მოპასუხე მხარემ ამ კოდექსის 201-ე მუხლით დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს შესაგებელს და წარმოუდგენლობა გამოწვეული იქნება არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება[29]. მოსამართლე დაკმაყოფილებს სარჩელს, მხოლოდ იმ შემთხვევში თუ სარჩელში მითითებული გარემოებები შესაბამისობაში მოდის მოთხოვნასთან. სხვა შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რომელზედაც მხარეები 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით მოიწვევიან[30]. იმ შემთხვევაში თუ მოსამართლე დაიბარებს მხარეებს სხდომაზე, სხდომის მიმდინარეობის დროს ის მხოლოდ

[28] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მე-2321 მუხლი.საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=126 (16.06.2018

[29] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მე-2321 -ე 70-ე78-ე მუხლები.საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=126 (16.06.2018)

[30] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მე-2321 -ე, 70-ე78-ე მუხლები.საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=126 (16.06.2018)

მოისმენს მოპასუხის სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებაში და არ მიიღებს მისგან ახალი მტკიცებულებებს[31].

განსხვავებით მხარეთა გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საკითხისა შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას არ სჭირდება მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის არსებობა. სასამართლო შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თავისი ინიციატივით მიიღებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ან ნიშნავს სხდომას [32].

გასათვალისწინებელია, რომ შესაგებლის წარმოდგენა მოპასუხე მხარის მიერ წარმოადგენს ისეთ საპროცესო მოქმედებას, რომელის განსაზღვრულ ვადაში შეურულებლობაც მხარისათვის შესაძლებელია არასასურველი შედეგის მომტანი იყოს. სსსკ -ის მიხედვით შესაგებლის წარმოდგენის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთულ საქმეებთან მიმართებაში 21 დღეს. ასევე, აღსაღნიშნავია რომ კანონი ცალკე ითვალისწინებს შესაგებლის წარმოდგენის ვადის გაგრძელების საშუალებას მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში. [33]

აღნიშნულთან დაკავშირებით თბილისის სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე არ დაკმაყოფილა კერძო საჩივარი, სადაც აპელანტი სადავოდ ხდიდა სასჯელაღსრულების დაწებულებაში ყოფნის გამო ათ დღიან ვადაში შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო დაუსწრებელ გადაწყვეტილების მიღების ფაქტს. მხარე საჩივარში უთითებდა, რომ მან ვერ შეძლო იუსტიცის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმით შესაგებლის წარმოდგენა. სააპელაციო სასამართომ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია და მიუთითა, რომ აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი იქნებოდა მხოლოდ მხარის მიერ სასამართლოსთვის მიმართვის არსებობის ფაქტი შესაგებლის წარდგენის ვადის გაგრძელების შესახებ. ვინაიდან არ არსებობდა მსგავსი შუამდგომლობა, სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანტის სასამართლო გადაწყვეტილება[34] . სასამართლოს მიერ მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო

---

[31] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 229-ე, მე-2321 -ე მუხლები.საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=126 (16.06.2018)

[32] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 229-ე, მე-2321 -ე მუხლები.საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=126 (16.06.2018)

[33] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი - გვ.47-48

[34] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 18 მაისის განჩინება საქმეზე №2ბ/92-15 http://library.court.ge/judgements/58992016-07-05.pdf (16/06/2018): 10;

ვადის გარძელება ან/და შესაგების წარმოუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილება შესაძლებელია გაუქმდეს თუ იარსებებს სსსკ-ის 215-ე მუხლის მიხედვით სააპატიო გარემოება. საპატიო გარემოებად მიიჩნევა ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა ობიერტური გარემოება, რომელიც შეუძელებელს ხდის მხარის მიერ საპროცესო მოქმედების განხორციელებას[35].

2.6..მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მისი განსხვავება განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებისგან

სსსკ-ის 242-ე მუხლი უშვებს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, მაშინ როდესაც მხარის მიმართ ერთხელ უკვე მიღებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილება სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო[36]. სასამართლო განმეორებით დაუსწრებელ გადაწყვეტილებას მიიღებს იმ შემთხვევაში თუ საჩივრის ავტორი, რომელიც ითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განხილვის განახლებას კვლავ არ გამოცხადდება სასამართლოს სხდომაზე. ასეთ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს მეორე დაუსწრებელ გადაწყვეტილებას[37]. მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოტანისას სასამართლო რამდენიმე წინაპირობას ამოწმებს ესა: პირის მიმართ იმავე საქმესთან მიმართებაში უნდა არსებობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა მიღებულ იქნეს არა საჩივრის დასაშვებობის შემოწმების მიზნით ჩანიჩნულ სხდომაზე, არამედ საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით ჩანიშნულ სხდომაზე და ბოლოს აუცილებელია მოსამართლემ შემოაწმოს ხომ არ არსებობს რაიმე ისეთი წინაპირობა, რომელიც ხელს შეუშლის სასამართლოს მხარის მიმართ განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანში.

[35] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 2321 -ე, მუხლი.საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=126 (16.06.2018)

[36] 9საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 242-ე მუხლი.საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=126 (16.06.2018)

[37] თენგიზ, ლილუაშვილი..სამოქალაქო პროცესუალური სამართალი II გამოცემა.(თბილისი: ჯისიაი 2005): 407

მხოლოდ ამ წინაპირობების შემოწმების შემდეგ სასამართლო ვალდებულია დაიწყოს მსჯელობა განმეორებით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე[38].

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ერთ-ერთ საქმეზე მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო მოსარჩელე მხარის შუამდგომლობა დაკმაყოფილა და მოპასუხეს სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო დააკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 9996466 ლარის გადახდა. აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა მოპასუხე მხარემ. დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი დაკმაყოფილდა და განახლდა საქმის წარმოება, თუმცა მოპასუხე მხარე სასამართლო სხდომაზე კვლავ არ გამოცხადდა და მის მიმართ გამოტანილ იქნა განმეორებით დაუსწრებელი გადაწყვეტილება. რომელიც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მხარემ და მოითხოვა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა პირველ ინსტანციაში განსახილველად დაბრუნება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საჩივარი დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო, საქმის განხილვამდე ერთი დღით ადრე თბილისის საქალაქო სასამართლოში აპელანტის წარმომადგენელმა წარმოადგინა განცხადება, რომ იგი განთავისუფლებული იყო კომპანიის იურიდიული დეპარტამენტის ხემძღვანელის უფლებამოსილებისგან და უარს აცხადდებდა წარმომადგენლობითი ფუნქციის შესრულებაზე. სააპელაციო სასამართლომ მსჯელობაში მიუთითა, რომ შესაძლებელია ეს პირი განთავისუფლებული ყოფილიყო იურიდიული სამსახურის ხემძღვანელის უფლებამოსილებისგან, თუმცა საქმის მასალებით არ დასტურდებოდა შეძლებდა თუ არა წარმამადგენლობითი ფუქნციის განხორციელებას. შეიძლება იგი გადაყვანილიყო უფრო დაბალ ან მაღალ თანამდებობაზე და ისე განეხორციელებინა წარმომადგენლობითი ფუნქციები. ამ საქმეში, ასევე, სასამართლოს არ გამოუკვლევია საერთოდ ცნობილი იყო თუ არა ორგანიზაციისთვის, რომ წარმომადგენელი აღარ ახორციელებდა მის უფლება მოვალეობებს. ამიტომაც სააპელაციო ინსტანციამ დაადგინა, რომ არ შეიძლებოდა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა და საქმის განხილვა დაბრუნა პირველ ინსტანციაში. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა საკასაციო წესით, რაზეც სუს-მა შემდეგი განმარტება გაკეთა: სასამართლო სხდომის ჩატარების თაობაზე მხარე 10 დღით ადრე იყო ინფორმირებული და მას და მის ორგანზაციას საშუალება ჰქონდათ უზრუნველეყოთ სხდომაზე წარმომადგენელის გამოცხადება. ამავე დროს პირის სამსახურიდან გათავისუფლება არ შეიძლება უალტერნატივოდ გულისხმობდეს წარმომადგენლობითი ფუნქცის გაუქმებას. ამ საფუძვლებიდან გამომდინარე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაკმაყოფილა საკასაციო საჩივარი და გაუქმა სააპელაციო

[38] თენგიზ, ლილუაშვილი..სამოქალაქო პროცესუალური სამართალი II გამოცემა.(თბილისი: ჯისიაი 2005): 407

სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება და ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება[39].

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მხარის მიმართ თუ ერთხელ უკვე მიღებულია განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხარეს აღარ აქვს უფლება ხელმეორედ შეიტანოს საჩივარი განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში[40]. ვინაიდან განმეორებით დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე სსსკ-ის 242-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად შეიძლება მხოლოდ სააპელაციო საჩივრის შეტანა[41]. სააპელაციო სასამართლო ვალდებულია განმეორებით დაუსწრებელი გადაწყვეტილებაზე მიღებულ სააპელაციო საჩივარზე სსსკ-ის 366-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახამად შეამოწმოს საჩივრის საფუძვლები[42]. დამატებით საპროცესო კოდექსი განმეორებით დაუსწრებელი გადაწყვეტილებაზე ხარჯების ანაზღაურების საკითხსაც განსაზღვრავს, რომლის მიხედვითაც აპელანტი მხარე ვალდებულია მიუხედავად იმისა მოიგებს თუ არა საქმეს გადაიხადოს სასამართლოს ხარჯები. [43]

მნიშვნელოვანია განვასხვავოთ განმეორებითი და მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ერთმანეთისგან. განმეორებით დაუსწრებელი გადაწყვეტილება განსხვავდება მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილებისაგან. განმეორებით დაუსწრებელ გადაწყვეტილება ითვლება ერთი და იმავე მხარის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება, ხოლო მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანება მაშინ, როცა იგი არ არის მიღებული ერთიდაიმავე მხარის მიმართ.

---

[39] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 19 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-446-418-2010 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე 2010, # 11 http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr20109.pdf (16/06/2018):68- 69

[40] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 242-ე მუხლის პირველი ნაწილი.საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=126 (16.06.2018)

[41] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 242-ე მუხლის მეორე ნაწილი.საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=126 (16.06.2018)

[42] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 366-ე მუხლის მეორე ნაწილი.საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=126 (16.06.2018)

[43] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი - 1997 - თავი XXVI მუხლი - 242

თავი III - დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დაუშვებლობა და გასაჩივრების წესი

3.1 დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დაუშვებლობის საფუძვლები

სსსკ-ში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დაუშვებლობის შესახებ საკანონდებლო ნორმის არსებობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანია, ვინაიდან სასამართლო შესაგებლის არასაპატიო მიზეზით, ან მხარეთა გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საკითხზე როდესაც მსჯელობს, ვალდებულია შეამოწმოს ამ ნორმის საფუძველზე ხომ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების დაუშვებლობის საფუძვლები. დაუშვებლობის საფუძველებზე მითითებას კი უშუალოდ სსსკ-ის 233-ე მუხლი აკეთებს[44]. ამ მუხლის მოქმედი რედაქციის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დაუშვებლობის წინაპირობები საერთოა, როგორც მხარეთა გამოუცხადებლობის, ისე შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წამოუდგენლობის დროსაც[45].

მხარეთა გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მაშინ, როდესაც მხარეს უწყება არ ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით[46]. უწყების კანონით დადგენილ წესში კანონდებელი მოიაზრებს შემდეგ გარემოებებს: უწყება უნდა ჩაბარდეს ადრესატს იმ გონივრულ ვადაში, რა ვადაშიც ის შეძლებს სხდომაზე გამოცხადებასა და სხდომისათვის მომზადებას, უწყება ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს, ანუ ირკვეოდეს მისი შინაარსი, დრო და გამოუცხადებლობის შედეგები[47]. იმ შემთხვევაში თუ უწყება არ პასუხობს კანონის მოთხოვნებს და მხარის მიმართ გამოტანილი იქნა

---

[44] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 233-ე მუხლის მეორე ნაწილი.საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=126 (16.06.2018)

[45] თენგიზ, ლილუაშვილი.სამოქალაქო პროცესუალური სამართალი II გამოცემა.(თბილისი: ჯისიაი 2005): 395

[46] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 233-ე მუხლის პირველი ნაწილი „ა“ ქვეპუნქტი.საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=126 (16.06.2018)

[47] ირმა, მერებაშვილი.დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონდებლობაში. მართლმსაჯულება N3 (2007): 150

დაუსწრებელი გადაწყვეტილება, სახეზე გვექნება აბსოლიტური საფუძველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა[48].

სსსკ-ის მიხედვით დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება იმ შემთხვევაში თუ სასამართლოსთვის ცნობილი გახდა დაუძლეველი ძალის შესახებ, რომელსაც შეეძლო მხარის გამოცხადებისათვის ხელის შეშლა[49]. აღსაღნიშნავია, რომ სასამართლოსათვის დაუძლეველი ძალის შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროს მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია ფაქტის არსებობის შესახებ ინფორმაციის ცოდნა[50]. სსსკ ცალსახად არ აკეთებს განმარტებას თუ რა გარემოება მიიჩნევა დაუძლეველ ძალად და მას მოსამართლის შეფასების საკითხად მიიჩნევს.[51]

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის კიდევ ერთ საფუძვლად სსსკ ითვალისწინებს სასამართლოში გამოუცხადებელ მხარისათვის საქმის გარემოებების დროულად არ ცნობის ფაქტს მიიჩნევს[52]. ცალსახა, რომ კანონი მხარის მიერ საქმის გარემოების ცოდნაზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს. სწორედ ამ საფუძვლიდან გამომდინარეობს მხარეთა შორის სავალდებულო დოკუმენტ ბრუნვის ვალდებულებაც.

მნიშვნელოვანია განვმარტოთ თუ რა იგულისხმება საქმეზე დროულად ინფორმირებაში, ვინაიდან სასამართლო განხილვა შედგება მოსამზადებელი და მთავარი სხდომებისაგან. დროულად ინფორმირებულად ჩაითვლება მხარე რომელსაც დოკუმენტაცია ჩაბარდა მოსამზადებელ სხდომამდე ან არაუგვიანეს ამ სხდომის დამთავრებამდე[53]. იმ შემთხვევაში თუ მხარესათვის ცნობილი არ ამ ეტაპებზე საქმის სადავო ფაქტობრივი გარემოებები მის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის კიდევ ერთ დაუშვებლობის საფუძველს წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან სარჩელის არასწორად მიღების შემთხვევა. მოსამართლემ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებამდე ვალდებულია კიდევ ერთხელ გარკვიოს ხომ არ არსებობდა საერთოდ სსსკ -ის 186-ე მუხლით

---

[48] თენგიზ, ლილუაშვილი.სამოქალაქო პროცესუალური სამართალი II გამოცემა.(თბილისი: ჯისიაი 2005): 395

[49] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 233-ე მუხლის პირველი ნაწილი „ბ“ ქვეპუნქტი. საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=126 (16.06.2018)

[50] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 233-ე მუხლის პირველი ნაწილი „გ“ ქვეპუნქტი. საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=126 (16.06.2018)

[51] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი - 1997 - თავი XXVI

[52] თენგიზ,ლილუაშვილი.სამოქალაქო პროცესუალური სამართალი II გამოცემა.(თბილისი: ჯისიაი 2005): 395

[53] თენგიზ,ლილუაშვილი.სამოქალაქო პროცესუალური სამართალი II გამოცემა.(თბილისი: ჯისიაი 2005): 395

გათვალისწინებული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის რომელიმე საფუძველი[54] . იმ შემთხვევაში თუ ეს საფუძველი სხდომაზე საქმის განხილვის დროს გამოიკვეთა ვალდებულია სარჩელი განუხილველად დატოვოს ან შეწყვიტოს საქმეზე წარმოება[55].

მხარეთა გამოუცხადებლობის შემთხვევისგან განხვავებით შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სსსკ-ის 233-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად მხარის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა გამოწვეული არ იყო დაუძლეველი ძალით, ან ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ინფორმაცია არ ცნობით[56].

3.2. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა საოჯახო სამართალში

ზოგადად სამოქალაქო სამართალში საოჯახო დავები წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე საყურადღებო დარგს, ვინაიდან ხშირ შემთვევაში სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება თითოეულ ოჯახის წევრზე. ამიტომ აუცილებელია განხილულ იქნეს თუ რა პირობებით ხდება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა საოჯახო სამართალში და რამდენად მართებულია ეს მიდგომა.

საოჯახო სამართალში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას იგი უნდა ემყარებოდეს ზოგადად დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო პირობებს, რაც არ არის სწორი მიდგომა, ვინაიდან როდესაც საქმე ეხება ოჯახს და ხშირ შემთხვევაში დავა იწყება ბავშვთან დაკავშირებულ საკითხებზე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის უფლება მოსამართლემ უკიდურეს შემთხვევაში უნდა გამოიყენოს, ამასთან კანონმდებლობა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მთავარ სხდომაზე მოსარჩელის არ ყოფნა არ ნიშნავს, იმას, რომ მან უარი თქვა თავის სარჩელზე, შესაბამისად ამ განაწესით კანონმდებელი სასამართლოს აწვდის მინიშნებას, რომ

[54] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 186-ე მუხლი. საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=126 (16.06.2018)

[55] თენგიზ, ლილუაშვილი. 2005.სამოქალაქო პროცესუალური სამართალი II გამოცემა.(თბილისი: ჯისიაი2005): 396

[56] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 233-ე მუხლის მესამე ნაწილი.საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=126 (16.06.2018)

საოჯახო დავაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა არ უნდა იჩქაროს, თუნდაც არსებობდეს ამის წინაპირობები.[57]

ამასთან მნიშვნელოვანია ის არგუმენტი, რომ სასამართლოს საოჯახო სამართალი აქვს მეტი თავისუფლება ვიდრე სხვა დარგებში, ვინაიდან მას აქვს უფლება და მოვალეობაც კი რომ გამოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, შესაბამისად მოსარჩელის გამოუცხადებლობა მის პოზიციაზე ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს რადგან სასამართლო თავად იძიებს ისეთ დოკუმენტებს, რომლებზე დაყრდნობითაც შემდგომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. შესაბამისად არის იმის შესაძლებლობა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება პირველივე გამოუცხადებლობაზე არ იქნეს მიღებული.[58]

ამასთან ქართულ სამართალში არსებობს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც როდესაც დავა ეხება ბავშვის უფლებებს, სასამართლომ მშობლების მიერ პროცესუალური საკითხების მოუგვარებლობა არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილების გამოტანის საფუძვლად და იგი უნდა ეცადოს კანონზე წინაც ბავშვის უფლებები დააყენოს,[59] მითუმეტეს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლე არ აფასებს მასში არსებულ მტკიცებულებებს, თუნდაც ეს მოსარჩელის სასარგებლოდ ყოფილიყო მითითებული, იგი აფასებს მის პროცესზე წარმოუდგენლობის ფაქტს და თუ ეს აკმაყოფილებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პირობებიდან რომელიმეს მაშინ სასამართლოს გამოაქვს იგი. [60]

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ის ქვეყნები რომლებიც იზიარებენ ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის ნორმებს, დაუსწრებელ გადაწყვეტილებას არ არსებობს საოჯახო სამართალში გადაწყვეტისას,[61] ქართული კანონმდებლობა მთლად უარს არ ამბობს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, მაგრამ საოჯახო და კონკრეტულად ისეთ საქმეებში დასაც ბავშვის უფლებები

---

[57] ვ.ჩუბინიძე - ინკვიზიციურობის პრინციპი საოჯახო საქმეთა განხილვისას

[58] Wolf C., Zeibig N., Evidence in civil law Germany, published 2015 by Institute for Local Self Government and Public Procurement Maribor, 46. 188

გაგუა ი., სადისერტაციო ნაშრომი, მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, 2012 წელი, 100.

[59] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-675-631-2017, 16 ივნისი, 2017 წელი. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე (05.06.2019).

[60] ვ.ჩუბინიძე - ინკვიზიციურობის პრინციპი საოჯახო საქმეთა განხილვისას

[61] Glannon J., Civil Procedure, Published by Wolters Kluwer Law & Business in New York, 2013 y. 50-52.

დომინირებს შეზღუდულად გამოიყენება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პირობები, რაც მართებულია.[62]

3.3 დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი

ნებისმიერი სასამართლო გადაწყვეტილება და მათ შორის დაუსწრებელი გადაწყვეტილებაც, არის მართლმსაჯულების აქტი, რომლის მეშვეობითაც წესრიგდება მოდავე მხარეებს შორის სამართლებრივი ურთირთობები. გადაწყვეტილება სასამართლო საქმიანობის საბოლოო პროდუქტად მიიჩნევა, იმ მიზეზით, რომ მასში ხდება ყველა იმ მსჯელობის გამოყენება, რომლითაც სასამართლო მიდის საბოლოო დასკვნამდე[63].

დაუსწრებელი გადაწყვეტილებაც თავისი საპროცესო დანიშნულებიდან გამომდინარე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსხვავდება ისეთი ტიპის სასამართლო გადაწყვეტილებებისგან, რომელიც სასამართლომ მიიღო არსებითი განხილვის შედეგად. ის განსხვავდება არა მარტო სტრუქტურული აგებულებით, არამედ გასაჩივრების და დოკუმენტის ჩაბარების წესითაც.

სასამართლოს მიერ არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების წესის მიხედვით, სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით მხარე ვალდებულია მისი სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილება[64]. სსსკ-ის 2591 -ე მუხლის მე-2 ნაწილი კი აკონკრეტებს რა შემთვევაშია სასამართლო ვალდებული გაუგზავნოს მხარეს მიღებული გადაწყვეტილების ასლი. ესაა შემთხვევები, როცა მხარე

[62] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვტილება, საქმე Nას-198-2019, 28 მაისი, 2019 წელი. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (05.06.2019)

[63] მაია. სულხანიშვილი. სასამართლო გადაწყვეტილება, როგორც საპროცესო დოკუმენტი და მისი გასაჩივრების ფორმები მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით.მართლმსაჯულება და კანონი N4 (47)15 (2015):19

[64] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 2591-ე მუხლის პირველი ნაწილი.საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=126 (16.06.2018)

გათავისუფლებულია სასამართლო ხარჯებისაგან ან იმყოფება საპატიმრო დაწესებულებაში[65]. განსხვავებით არსებითი განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებისაგან, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების წესის მიხედვით სასამართლო ვალდებულია ნებისმიერ შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში მხარეს გაუგზავნოს ასლი[66].

საყურადღებოა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის მიმოხილვისას დოკუმენტის გაგზავნის და ჩაბარების წესი, ვინაიდან მისი კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადაც ჩაბარებიდან აითვლება[67]. ქართული კოდექსისგან განსხვავებით, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი გაცილებით მეტ დროს აძლევს მხარეს გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 339-ე პარაგრაფის მიხედვით ეს ვადა გადაწყვეტილების გადაცემიდან აითვლება და შეადგენს ორ კვირას, ასევე გასათვალისწინებელია, რომ 339-ე პარაგრაფის მეორე ნაწილის მიხედვით დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის გაგზავნის შემთხვევები უცხო ქვეყანაში რომელთა მიმართაც სპეციალური განჩინებით დამატებითი ვადა წესდება[68].

როგორ ხდება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება ?

დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ არის საბოლო და მისი გასაჩივრება დასაშვებია კანონით დადგენილი წესით. მხარეს , უფლება აქვს გაასაჩივროს დაუსწრებელი გადაწყვეტილება მისი ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით. საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვისა და საქმის განახლების შესახებ უნდა შეიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ინფორმაციას.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისათვის განხილველი საქმის ფაქტობრივ გარემოებებს მნიშვნელობა არ აქვს. მხარის წინააღმდეგ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება

---

[65] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 2591 -ე მუხლის მეორე ნაწილი.საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=126 (16.06.2018)

[66] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 235-ე მუხლი.საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=126 (16.06.2018)

[67] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 237-ე მუხლი.საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=126 (16.06.2018)

[68] ირმა, მერებაშვილი..დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონდებლობაში. მართლმსაჯულება N3 (2007)153

გაუქმდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დაამტკიცებს, რომ სასამართლო სხდომაზე მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით ვერ გამოცხადდა ან ვერ შეიტანა შესაგებელი (მაგალითად , არ იყო ინფორმირებული სასამართლო სხდომის შესახებ - არ მიუღია უწყება; ადგილი ჰქონდა გადაულახავი დაუძლეველი ძალის მოქმედება ; მხარე იყო ავად, რაც შეუძლებელს ხდიდა მის გამოცხადებას სასამართლო სხდომაზე ან არსებობს რაიმე სხვა მიზეზი , რომელსაც სასამართლო საპატიოდ მიიჩნევს). (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი 229-242)

მუხლი 236. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება

„მხარეს, რომელიც არ გამოცხადებულა სასამართლო სხდომაზე, რის გამოც მის წინააღმდეგ გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, აგრეთვე მოპასუხეს ამ კოდექსის 2321 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შეუძლიათ ასეთი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში შეიტანონ საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ.“ (საქართველოს პარლამენტი, 1997)

არასწორად გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების შემთხვევაში მხარემ არა მარტო უნდა აკონტროლოს, რომ არ დაარღვიოს კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადა, არამედ უნდა გაითვალისწინოს სსსკ -ის 238-ე მუხლის მიხედვით არსებული ის კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა შეიცავდეს საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის არსებითი განახლების შესახებ[69]. აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით, საჩივარი აუცილებლად უნდა შეცავდეს მითითებას თუ რა ნაწილში სურს მხარეს სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლა, ასევე მას უნდა ერთვოდეს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებებები, რაზედაც საჩივრის ავტორი ამყარებს საკუთარ პოზიციას[70].

განსხვავებით სხვა ტიპის საჩივრისა განხილვის წესისაგან, დაუსწრებელი გადაწყვეტილების პირველ ჯერზე საქმის გასაჩივრების შემთხვევაში განმხილველ მოსამართლესთან მასზე მხარე სახელმწიფო ბაჟს არ გადაიხდის[71].

---

[69] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 238-ე მუხლი.საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=126 (16.06.2018)

[70] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 238-ე მუხლის 1-ლი ნაწილი .საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=126 (16.06.2018)

[71] შ. ქურდაძე და ნ. ხუნაშვილი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, რედაქტორი რომან შენგელია,.(თბილისი: მერიდიანი 2012): 611

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე სუბიექტის საჩივარი იმ შემთხვევაში დაკმაყოფილდება თუ ის დაასაბუთებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დაუშვებლობის რომელიმე საფუძველის არსებობის ფაქტს მისი მიღების დროს[72].

საინრტერესოა, რომ სსსკ-ში არსად არ არის განსაზღვრული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის არსებით განხილვაში დაბრუნების შესახებ საჩივარის განხილვის ვადა[73]. რაც ვფიქრობ სამოქალაქო საპროცესო კანონდებლობის ნაკლად უნდა მივიჩნიოთ.

მნიშვნელოვანია იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარს განიხილავს ის სასამართლო და მოსამართლე რომელმაც გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. რაც თავის მხრივ განსხვავდება საქმეზე არსებითი განხილვის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებებზე არსებული საჩივრის განხილვის წესისაგან. იმ საფუძვლით, რომ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარს განიხილავს ის სასამართლო და მოსამართლე, რომელმაც გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სსსკ-ის 239-ე მუხლი ადგენს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის განხილვის წესს, რომლის მიხედვითაც საქმის განხილვა ხდება სხდომაზე, რომელზეც მხარები მოიწვევიან სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მხარის გამოუცხადებლობა არ აჩერებს საჩივრის განხილვას[74]. ხოლო რაც შეეხება საჩივრის დაშვების ფაქტს, სასამართლო მას მხარეთა შეუტყობინებლად ამოწმებს. იმ შემთხვევაში თუ საჩივარი აკმაყოფილებს დადგენილ კრიტერიუმებს მოსამართლეს გამოაქვს განჩინება სასამართლო საჩივრის განსახილველად მიღების თაობაზე, რომელშიც ეთითება საჩივრის განხილვის თარიღი[75]. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით საჩივრის განსახილველად მიღების განჩინება არ

---

[72] შ. ქურდაძე და ნ. ხუნაშვილი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, რედაქტორი რომან შენგელია,.(თბილისი: მერიდიანი 2012): 611

[73] შ. ქურდაძე და ნ. ხუნაშვილი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, რედაქტორი რომან შენგელია,.(თბილისი: მერიდიანი 2012): 611

[74] შ. ქურდაძე და ნ. ხუნაშვილი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, რედაქტორი რომან შენგელია(.თბილისი: მერიდიანი 2012): 612

[75] შ. ქურდაძე და ნ. ხუნაშვილი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, რედაქტორი რომან შენგელია(.თბილისი: მერიდიანი 2012): 612

საჩივრდება, რაც შეეხება საჩივრის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის განჩინებას, მასზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა[76].

სასამართლოს საჩივრის განხილვის შემდეგ უფლება აქვს გააუქმოს მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და დაიწყოს საქმის ხელახალი განხილვა ან უარი თქვას საჩივრის დაკმაყოფილებაზე და ძალაში დატოვოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება[77] .

გასათვალისწინებელია აქვს თუ არა მხარეს დღეს არსებული საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებაზე უარის თქმის განჩინების გასაჩივრების უფლება. მხარე შუამდგომლობის დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას და სასამართლო კი უარს ეუბნება ამ შუამდგომლობლის დაკმაყოფილებაზე, შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის და სხდომის სხვა დროისათვის გადადების შესახებ განჩინება შედის სხდომის ოქმში და მხარეს მისი ცალკე, ინდივიდუალურად გასაჩივრების უფლება არ აქვს იქამდე, სანამ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება არ მიიღება[78].

აუცილებელია საკანონდებლო დონეზე გადაწყდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებაზე უარის თქმის განჩინება უნდა შევიდეს სხდომის ოქმში მსგავსი მარტივი უარყოფით თუ იგი განჩინებით უნდა გაფორმდეს და მხარეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეეძლოს მისი გასაჩივრება. ქართულისგან განსხვავებით გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 336-ე პარაგრაფი ითვალისწინებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმის განჩინების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებას[79].

სსსკ-ში აღნიშნული რეგულაცის არ არსებობა წინაღმდეგობაში მოდის აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილების იდეასთან, რომლის მიზანია საქმეთა გაჭინანურებისგან მხარეთა დაცვა. თუ მხარეს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის განჩინების გასაჩივრების უფლება ექნება კერძო საჩივრით ზემდგომ ინსტანციაში, ეს ხელს შეუსწრობს სამოქალაქო პროცესის უფრო ეფექტიანად წარმართავას. იმ შემთხვევაში თუ ზემდგომი ინსტანციის მიერ აღნიშნული

---

[76] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 239-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები .საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=126 (16.06.2018)

[77] 2შ.ქურდაძე და ნ. ხუნაშვილი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, რედაქტორი რომან შენგელია(.თბილისი: მერიდიანი 2012): 612

[78] ირმა, მერებაშვილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონდებლობაში. მართლმსაჯულება N3 (2007): 151-152

[79] ირმა მერებაშვილი - დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონმდებლობაში. მართლმსაჯულება N3(2007): 151-152

შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნება, დაშვებული შეცდომა გამოსწორდება და ამ შემთხვევაში აღარ მოუწევს სასამართლოს საქმის განხილვისათვის კიდევ დამატებითი დროისა და რესურსის გაწევა[80].

3.4. სასამართლოს უფლებამოსილება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვისას

სსსკ-ს 240-ე მუხლი განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივრის განმხილველი სასამართლოს უფლება-მოვალეობებს. ამ მუხლში გაწერილია ის უფლება მოვალეობები, რომლის განხორციელებაც ასეთ დროსაა შესაძლებელი. აღნიშნული მუხლის მიხედვით სასამართლოს ასეთ დროს ენიჭება ორი უფლება-მოსილება. ეს უფლებებია :

1. „თუ არ არსებოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, არ დააკმაყოფლილოს საჩივარი და ძალაში დატოვოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ამასთან სასამართლო განჩინებაში მიუთითებს მხარისათვის თქმის (მისი მოსაზრების უარყოფის) მოტივებს.
   სასამართლო არ დააკმაყოფილებს საჩივარს და უცვლელად დატოვებს გამოტანილ გადაწყვეტილებას, თუ მხარის გამოუცხადებლობის ან შესაგებლის წარუდგენლობის მიზეზს არასაპატიოდ მიიჩნევს. საჩივრის დაუკმაყოფილებლობისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს აპელაციით ან საკასაციო წესით დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან ერთად. (იხ.სსსკ-ის 240-ე მუხლი).[81]
2. გააუქმოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, განაახლოს საქმის არსებითად განხილვა (დაიწყოს სარჩელის განხილვა) და მიიღოს ახალი გადაწყვეტილება, ან მოპასუხეს აღუდგინოს შესაგებლის წარდგენის ვადა, ანუ თუ არსებობს შესაბამისი საფუძვლები, სასამართლო აკმაყოფილებს საჩივარს. სსსკ 240- მუხლის და 241-ე მუხლის შესაბამისად, თუ საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის შედეგად აღმოჩნდება, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, სასამართლოს შეუძლია მიიღოს

[80] ირმა, მერებაშვილ.დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონდებლობაში. მართლმსაჯულება N3(2007): 151-152

[81] ქურდაძე შალვა, ხუნაშვილი ნინო. "დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პრობლემები." სამართალი და მსოფლიო. თბილისი 2015; გვ.644-648

ახალი გადაწყვეტილება.“ [82] (ქურდაძე შალვა, ხუნაშვილი ნინო. "დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პრობლემები." სამართალი და მსოფლიო. თბილისი 2015;)

რაც შეეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაყწვეტილების მიღების შესახებ გადაწყვეტილებას, იგი შეიძლება სასამართლომ გამოიტანოს ერთ სასამართლო სხდომაზე, ასევე სხვადასხვა სასამართლო სხდომაზე, როგორც ერთი გადაყწვეტილებით, ისე ორი დამოუკიდებელი გადაწყვეტილებით. (ქურდაძე შალვა, ხუნაშვილი ნინო. "დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პრობლემები." სამართალი და მსოფლიო. თბილისი 2015;)

იმ შემთხვევაში თუ მხარეები არ არიან წინააღმდეგნი, რომ გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის განხილვის საკითხი მოხდეს ერთ სასამართლო სხდომაზე, მაშინ სასამართლოს შეუძლია მიიღოს ახალი გადაწყვეტილება და ეს ყველაფერი ჩამოაყალიბოს ერთ გადაწყვეტილებაში. (ქურდაძე შალვა, ხუნაშვილი ნინო. "დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პრობლემები." სამართალი და მსოფლიო. თბილისი 2015;)

მაშინ, როდესაც მიმდინარეობს სსსკ-ს 240-ე მუხლის შესაბამისად, პირველი დაუსწრერბელი გადაწყვეტილების გაუქმების განხილვა, სასამართლოს აქვს უფლება, პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ გაჩინება მიიღოს ერთ სასამართლო სხდომაზე. იმ შემთხვევაში თუ სასამართლო განაგრძობს საქმის არსებითად განხილვას - ამის შესახებ მიიღებს ახალ გადაწყვეტილებას სარჩელის შესახებ. თუმცა ამ წესის დაუცველობა არ ნიშნავს სსსკ-ს 240-ე მუხლის დარღვევას და ასევე არ წარმოადგენს აღნიშნულ საქმეზე უკვე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს.

იმ შემთხვევაში, თუ მხარეები არ არიან თანახმა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესახებ საჩივრისა და საქმის არსებითად ერთად განხილვისა, მაშინ სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესახებ და ამასთანავე საქმის არსებითი განხილვა დანიშნოს სხვა დროს. (ქურდაძე შალვა, ხუნაშვილი ნინო. "დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პრობლემები." სამართალი და მსოფლიო. თბილისი 2015;)

ზემოხსენებულ არც ერთ შემთხვევაში არ დაირღვევა სსსკ 240-ე მუხლის და 241-ე მუხლის მოთხოვნები. [83](სუსგ. 2002წ. #2, გვ.172 – 176).

---

[82] ქურდაძე შალვა, ხუნაშვილი ნინო. "დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პრობლემები." სამართალი და მსოფლიო. თბილისი 2015; გვ.644-648

[83] ქურდაძე შალვა, ხუნაშვილი ნინო. "დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პრობლემები." სამართალი და მსოფლიო. თბილისი 2015; გვ.644-648

მხარის გამოუცხადებლობა ან შესაგებლის წარუდგენლობის არასაპატიოდ ჩათვლა სასამართლოს მიერ, შეიძლება გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ მხარეს აქვს საპატიო მიზეზი თუ რატომ ვერ წარადგინა შესაგებელი და თავის დროზე რატომ ვერ აცნობა ამის შესახებ სასამართლოს, მაშინ მან ამის შესახებ უნდა მიუთითოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივარში. არსებობს სხვადასხვა მიზეზი თუ რატომ შეიძლება მხარე ვერ გამოცხადდა სხდომაზე ან ვერ წარადგინა შესაგებელი. სსსკ-ს 241-ე მუხლის მიხედვით დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს და მოხდეს საქმის ხელახალი განხილვა, თუ არსებოსბ საფუძველი, რომელიც გათვალისიწნებულია სსსკ-ს 233-ე მუხლით, ან თუ გამოუცხადებლობა დასაბუთებულია სხვა საპატიო მიზეზით, რომელიც მხარემ დროულად ვერ აცნობა სასამართლოს.

„მუხლი 233. სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

1. მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ:

ა) გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით;

ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის;

გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები;

დ) არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები.“[84] (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი; - მუხლი 233)

კანონმდებელმა საპატიოდ შეიძლება მიიჩნიოს ისეთი მიზეზები, რომლებიც შეუძლებელს ხდის მხარის მიერ ნებისმიერი ფორმით: ზეპირად, ელ.ფოსტით, ტელეფონით ან წერილობით, სასამართლოსთვის ინფორმაციის მიწოდებას.

„ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნულია : ცნობის შინაარსიდან არ დასტურდება რომ მხარე (წარმომადგენელი) ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ ვერ გამოცხადდებოდა სასამართლო სხდომაზე ან ვერ შეატყობინებდა ამის შესახებ სასამართლოს. ცნობის მიხედვით მას არ ჰქონდა დანიშნული წოლითი რეჟიმი და საჭიროებდა ამბულატიროულ მკურნალობას, რაც არ უსპობდა საშუალებას

[84] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი; - მუხლი 233

შეეტყობინებინა სასამართლოსათვის სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზი. (სუსგ.2003 წ. #9. გვ.2322).“ [85]

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს მხარის მიერ წარმოდგენილი საფუძვლების ნამდვილობას და უტყყუარობას, იგი გააუქმებს მიღებულს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. გამოუცხადებლობის გამო მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები განხილულია სსსკ-ს 241-ე მუხლში, რომელიც ეხება ორივე მხარეს (მოპასუხესა და მოსარჩელეს).

ამასთან ერთად, სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამატებით საფუძველს განსაზღვრავს სსსკ 230-ე მუხლი.

იმ შემთხვევაში, როცა სხდომაზე გამოცხადდება მოსარჩელე და არ გამოცხადდება მოპასუხე, მაშინ გარემოებები, რომლებიც მითითებულია სარჩელში, დამრკიცებულად ჩაითვლება, თუმცა სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მაშინ შეუძლია როცა ეს გარემოებები იურიდიულად ამართლებს მოსარჩელის მოთხოვნას.

შესაბამისად, იმ დროს როდესაც სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოსარჩელის სასარგებლოდ, კანონით გაწერილი საერთო პირობების გარდა, ასევე უნდა შემოწმდეს და შეფასდეს, ამართლებს თუ არა მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელში მითითებული და მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დამტკიცებულად ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები,

თუკი გასაჩივრებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული სსსკ-ს 230-ე მუხლის მეორე ნაწილი, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ არ იხელმძღვანელა აღნიშნულით.

სასამართლოს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეამოწმოს ნამდვილად ამართლებს იურიდიულად თუ არა სარჩელში მითიტებული ფაქტობრივი გარემოებები მოსარჩელის მოთხოვნას, როდესაც ადგილი აქვს მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის განახლების შესახებ საჩივრის განხილვას. თუ ამ შემოწმებისას დადგინდა, რომ სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ გარემოებები არ ამართლებენ იურიდიულად სასარცელო მოთხოვნას. აღნიშნული ფაქტი ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ დაარღვია სსსკ-ს 230-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა, რასაც შედეგად მოჰყვა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

იმ დროს, როდესაც სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოსარჩელის სასარგებლოდ, მან აღნიშნულ გადაწყვეტილებაში, ყოველთვის უნდა მიანიშნოს თუ

[85] ქურდაძე შალვა, ხუნაშვილი ნინო. "დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პრობლემები." სამართალი და მსოფლიო. თბილისი 2015; გვ.644-648

რომელი კანონი/ნორმა უდევს ან გადაწყვეტილების გამოტანას საფუძვლად. (სუსგ.2002 წ. #7 გვ.1192-1195) [86] (ქურდაძე შალვა, ხუნაშვილი ნინო. "დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პრობლემები." სამართალი და მსოფლიო. თბილისი 2015; გვ.644-648)

საქმის არსებითი განხილვა განახლდება მას შემდეგ, რაც გაუქმდება დაუსწრებელი გადაწყვეტილება და იგი იწარმოებს საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთო წესებით. ამასთანავე არ არის საჭირო საქმის ხელახლა აღძვრა.

რაც შეეხება იმ პროცედურას, რომელიც მოიცავს პირველად გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნას, მას სასამართლო სხდომაზე განიხილავს სასამართლო. ეს გულისხმობს, რომ მხარეს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია სხდომის დროისა და ადგილის შესახებ. აღსანიშნავია, რომ თუნდაც ერთერთი (ან ორივე) მხარის გამოუცხადებლობა არ აფერხებს საჩივრის განხილვას. ეს გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველს. დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ მაშინ, როდესაც განახლდება სარჩელის განხილვა და რომელიმე (ორივე) მხარე არ გამოცხადდება სასამართლო სხდომაზე.

არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გაასაჩივროს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოტხოვნა, თუ მის მიმართ ერთხელ უკვე მირებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

„სასამართლო განმეორებით დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეიძლება მხოლოდ სააპელაციო (საკასაციო) საჩივრის შეტანა, სააპელაციო (საკასაციო) საჩივრის შეტანისთვის დადგენილ ვადაში.“ (ქურდაძე შალვა, ხუნაშვილი ნინო. "დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პრობლემები." სამართალი და მსოფლიო. თბილისი 2015; გვ.644-648)

როგორც უკვე ავღნიშნეთ კანონით დადგენილია გასაჩივრების ვადა, რომელიც შეადგენს 10 დღეს, ამ ვადის გასვლამდე თუ არ მოხდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება, ის შევა კანონიერ ძალაში და შეიძლება აღსრულდეს კიდევაც. აღსანიშნავია, რომ კანონიერ ძალაში შესულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, ახასიათებს ყველა ის თვისება, რაც კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებას. ეს თვისებებია:

- უდავოობა,
- განსაკუთრებულობა,
- სავალდებულოობა,
- პრეიუდიციულობა,
- აღსრულებადობა;

[86] ქურდაძე შალვა, ხუნაშვილი ნინო. "დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პრობლემები." სამართალი და მსოფლიო. თბილისი 2015; გვ.644-648

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება თავისი არსით თითქმის არაფრითაა განსხვავებული საქმის ჩვეულებრივი წესით განხილვის დროს გამოტანილი გადაწყვეტილებისგან. განსხვავებულია მხოლოდ ამ გადაწყვეტილებათა სამართლებრივი შედეგები. რასაც მიეკუთვნება მაგალითად: მათი გასაჩივრების ვადები/წესები, კანონიერ ძალაში შესვლის წესი და სხვა.. (ქურდაძე შალვა, ხუნაშვილი ნინო. "დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პრობლემები." სამართალი და მსოფლიო. თბილისი 2015;)

საყურადღებოა, რომ შესაძლებელია კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დასრულებული საქმის წარმოების განახლება, თუმცა აქ საჭიროა სხვადასხვა მიდგომების გამოყენება, იმისდა მიხედვით თუ რომელი საფუძვლით მოითხოვს პირი საქმის განახლებას. (ქურდაძე შალვა, ხუნაშვილი ნინო. "დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პრობლემები." სამართალი და მსოფლიო. თბილისი 2015;) [87]

„ერთ-ერთ საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივ საფუძვლად განმცხადებელმა დაასახელა სსსკ-ს 423 მუხლის I ნაწილის (ვ პუნქტი) რომლის ძალითაც, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისთვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილებსი გამოტანას. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის ეს მოსაზრება, ვინაიდან სადაო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას, თუნდაც სცოდნოდა ახლად აღმოჩენილად მიჩნეული გარემოება და წერილობით შესაგებლის სახით დაეფიქსირებინა სასარჩელო მოთხოვნის საწინააღმდეგო მოთხოვნის არგუმენტი, იგი ვერ შეცვლიდა სასამართლო გადაწყვეტილებას, ვინაიდან მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობის გამო მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სასამართლოს დამტკიცებულად უნდა ჩაეთვალა, რაც მოცემულ შემთხვევაში ამგვარადაც მოხდა. აღნიშნული გამომდინარეობს სსსკ-ს 221-ე მუხლის პირველი ნაწილიდან. ამ ვითარებაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ გამოუცხადებელმა მოპასუხეს დაკარგა ინტერესი სარჩელისადმიდა აღიარებს მის წინააღმდეგ მიმართულ მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში მხარის წარმომადგენლის საქმის სასამართლო განხილვაზე არასაპატიო

[87] (ქურდაძე შალვა, ხუნაშვილი ნინო. "დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პრობლემები." სამართალი და მსოფლიო. თბილისი 2015

გამოუცხადებლობა საკმარის კანონიერ საფუძველს წარმოადგენდა სარჩელში მითითებული გარემოებების დამტკიცებულად ცნობისათვის და ამ გარემოებების მოპასუხის მიერ აღიარებულად მიჩნევისათვის.“[88] (სუსგ.2004 წ. #3 გვ.763-764). (ქურდაძე შალვა, ხუნაშვილი ნინო. "დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პრობლემები." სამართალი და მსოფლიო. თბილისი 2015;)[89]

[88] [89]ქურდაძე შალვა, ხუნაშვილი ნინო. "დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პრობლემები." სამართალი და მსოფლიო. თბილისი 2015;

თავი IV. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თავისებურებების სააპელაციო სასამართლოში

4.1 სააპელაციო ინსტანციის არსი

საქართველოს ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“ მე-2 მუხლის თანახმად საქართველოს საერთო სასამართლოთა სისტემა შედგება რაიონული საქალაქო სასამართლოებისგან, სააპელაციო სასამართლოსაგან და უზენაესი სასამართლოსაგან[90]. ხოლო რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილებებზე ან განჩინებებზე სააპელაციო საჩივრებს განიხილავს მეორე ინსტანციის სასამართალო. რაც შეეხება, საქართველოს ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“ 22-ე მუხლი განსაზღვრავს, სააპელაციო სასამართლოთა სამოქმედო ტერიტორიებს, რომელიც თავის მხრივ რეგულირდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ბრძანებით[91].

დღეს საქართველოს საერთო სასამართლოთა სისტემაში მოქმედებს ორი მეორე ინსტანციის სასამართლო, ეს არის ქუთაისის და თბილისის სააპელაციო სასამართლოები[92].

სააპელაციო სასამართლოს, როგორც საქმის განმხილველი მეორე ინსტანციის არსებობის მიზანი მდგომარეობს საქმის ხელახლა გადაწყვეტაში[93]. ამიტომაც სააპელაციო წესით საქმის განხილვის დროს დაუსწრებელი გადაწყვეტილებაც სწორედ იმ გარემოებების საფუძველზე შეიძლება მიიღებოდეს, რა შემთხვევაშიც პირველი ინსტანციაში საქმის განხილვის დროს. თუმცა

---

[90] საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მე-2 მუხლი საქართველოს პარლამენტი. 04.12.2009. 2257.საქართველოს საკანონდებლო მაცნე.

[91] 7საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მე-22 მუხლი საქართველოს პარლამენტი. 04.12.2009. 2257.საქართველოს საკანონდებლო მაცნე.

[92]საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, http://hcoj.gov.ge/ge/common-courts/organizationcharter/saapelatsio-sasamartloebi (12/05/2018)

[93] შ. ქურდაძე და ნ. ხუნაშვილ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, რედაქტორი რომან შენგელია.(თბილისი: მერიდიანი 2012): 635

შესაძლებელია საჩივრის ავტორის მიხედვით შეიცვალნონ მხოლოდ საპროცესო მხარეები მაგ: მოსარჩელე გახდეს მოწინააღმდეგე მხარე, ხოლო მოპასუხე თავის მხრივ კი აპელანტი[94].

სწორედ, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის თავისებურებაზე მიუთითებს საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლი[95]. ამ განაწესის მიხედვით საქმის განხილვა წარმოებს იმ წესების დაცვით, რომელიც დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმეთა განხილვის დროს. „თუმცა ეს წარმოება მიმდინარეობს იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რომელსაც მოიცავს კოდექსის სააპელაციო საქმის წარმოების თავი“[96].

განსაკუთრებით საინტერესოა რა თავისებურებები ახასიათებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ინსტიტუტს საქმის საპელაციო სასამართლოში განხილვის დროს.

4.2 მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას

სსსკ ითვალისწინებს მხარეთა გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას[97]. სსსკ-ის 387-ე მუხლის მიხედვით თუ სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი, მხარე რომელსაც კანონით დადგენილი წესით ეცნობა სხდომის დღის შესახებ სასამართლო მოწინაღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ[98], ან მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გადადებს სხდომას. იმ შემთხვევაში თუ გადადებულ

---

[94] ირმა მერებაშვილი.დაუსწრებელი გადაწყვეტილებიდ გამოტანის თავისებურებები I და II ინსტანცის სასამართლოში ქართული და გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონდებლობის მიხედვით. თემიდა N10(12)-2016 (2016): 23

[95] 1საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 327-ე მუხლი.საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=126 (16.06.2018)

[96] ირმა მერებაშვილი.დაუსწრებელი გადაწყვეტილებიდ გამოტანის თავისებურებები I და II ინსტანცის სასამართლოში ქართული და გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონდებლობის მიხედვით. თემიდა N10(12)-2016 (2016): 23

[97] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 387-ე მუხლი.საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=126 (16.06.2018)

[98] ირმა, მერებაშვილი.დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონდებლობაში. მართლმსაჯულება N3 (2007): 149

სხდომაზე აპელანტი ხელმეორედ არ გამოცხადდება სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

რაც შეეხება სხდომაზე აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევას სასამართლო ამ ეტაპზე ისმენს მხოლოდ აპელანტის ახნა-განმარტებას და მხოლოდ ამ საფუძველზე იღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ აპელანტის ახსნა-განმარტება არ უნდა შეიცავდეს ზოგად საკითხებს და ის უნდა ემყარებოდეს მხოლოდ მოთხოვნის საფუძვლიანობას[99].

გასათვალისწინებელია, რომ მსგავსად ქართული მოდელისა გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსიც ითვალისწინებს სააპელაციო სასამართლოში როგორც აპელანტის ისევე მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევებს[100]. აღსანიშნავია, რომ მეორე ინსტანციაში საქმის განხილვის დროს დაუსწრებელი გადაწყვეტილება შესაძლებელია მიღებულ იქნას მხარეთა გამოუცხადებლობის ან მხარის მიმართ პროტესტის ნიშნად სხდომის დატოვების შემთხვევაში.

4.3 შესაგებლის წარმოუდგენლობის შედეგები სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას

სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვის დროს შესაგებლის წარმოუდგენლობა აღარ არის საფუძველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების. აღნიშნული სასამართლო პრაქტიკა 2016 წლის 17 მარტის მერე დაინერგა, თუმცა იქამდე არსებულ მეორე ინსტანციის სასამართლოს პრაქტიკაში არა ერთი გადაწყვეტილება მოიძებნება, რომელიც შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო იქნა მიღებული. საყურადღებოა, რომ სწორედ სუს-მა ერთ-ერთ საქმეზე, შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საკითხზე არ მსჯელობის გამო გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, იმ მიზეზით, რომ მხარეს არ ჰქონდა შესაგებელი წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარზე და სასამართლომ ისე უთხრა უარი აპელანტს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე, რომ არც კი იმსჯელა შესაგებლის წარმოუდგენლობის

[99] ირმა, მერებაშვილი.დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონდებლობაში. მართლმსაჯულება N3 (2007): 149

[100] ირმა, მერებაშვილი.დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონდებლობაში. მართლმსაჯულება N3 (2007): 149

გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საკითხზე[101]. ხოლო 2016 წლის 17 მარტს სუს-ს დიდმა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება მისცა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში და შეიცვალა არსებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც სააპელაციო სასამართლოში შესაგებლის წარმოუდგენლობა აღარ შეიძლება გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

აღნიშნულ განჩინებაში სუს-მა არა მარტო საპროცესო ნორმებზე იმსჯელა, რომლებიც არეგულირებენ სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვის წესს, არამედ განმარტა ქართული სააპელაციო სასამართლოს მოდელის თავისებურებები და „ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარუდგენლობა ხელს არ უშლის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანაში, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში მხარეები სარგებლობენ ფართო საპროცესო უფლებებით და წარადგენენ საქმისთვის საჭირო ყველა იმ მტკიცებულებას, რომელსაც მიიჩნევენ მნიშვნელოვნად თავიანთი მოთხოვნისა თუ შესაგებლის დასაცავად..[102].“

საქართველოს ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“ მე-17 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტება სავალდებულოა საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი ყველა სასამართლოსათვის. ამიტომაც აღნიშნული განმარტების შემდგომ სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვის დროს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება ხდება მხოლოდ სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობის შემთხვევაში.

საქართველოს ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“ მე-17 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტება სავალდებულოა საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი ყველა სასამართლოსათვის[103]. ამიტომაც აღნიშნული განმარტების შემდგომ სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვის დროს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება ხდება მხოლოდ სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობის შემთხვევაში.

[101] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012წლის 17 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1532-1435- 2012 წელი)http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba40.pdf (12/05/2018):5

[102] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012წლის 24 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1532-1435- 2012 წელი)http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba40.pdf (12/05/2018):20

[103] საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მე-217-ე მუხლის მე-5 ნაწილი. საქართველოს პარლამენტი. 04.12.2009. 2257.საქართველოს საკანონდებლო მაცნე

თავი V - კვლევის შედეგები

მოცემული ნაშრომის ყველა თავი დაწერილია თეორიულ მასალაზე დაყრდნობით. ასევე ნაშრომში მაგალითების სახით მოყვანილია საქმეები საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან. გამოყენებულია როგორც საკანონმდებლო აქტები (კანონები, წესები) აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები. სხვადასხვა სტატია, ონლაინ ლექცია და ნაშრომი. ნაშრომის პირველ თავში მიმოხილულია მრავალი საინტერესო საკითხი დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, როგორებიცაა: მისი არსი, წარმოშობის პირობები, მისი განვითარების ისტორია სხვადასხვა ქვეყნის მაგალითებით, ასევე განხილულია მეორე დ აგანმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებების განსხვავებები, რომელიც ძალიან საინტერესო საგანს წარმოადგენს.

მეორე თავში მიმოხილულია დაუსწრებელი გადაწყვეტილებია მირების დაუშვებლობა და მისი გსაჩივრების წესი. ამ თავში ვხვდებით ასევე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მართებულობის განხილვას საოჯახოსამართალში, სადაც გამოკვეთილია ასეთი გადაწყვეტილების იღების პრობლემატურობა იმ საქმეებში, სადაც ვხვდებით არასრულწლოვანს და მის მეურვეობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლის შესახებაც, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო დოკუმენტები მოწმობს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას წარმოდგენილი დ აგათვალისიწნებული უნდა იყოს ორივე მხარის მოსაზრებები და მტკიცებულებები და სასამართლომ მიიღოს ბავშვის საუკეთესო ინტერესით გათვალისწინებით გადაწყვეტილება.

რაც შეეხება მესამე თავს, აქ განხილულია დაუსწრებელი გადაწყვეტილებია მიღების თავისებურებები სააპელაციო სასამართლოში. განხილულია სააპელაციო ინსტაციის არსი, მხარეთა გამოუცხადებლობის და შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას.

მთლიანობაში ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას. ნაშრომის დასასრულში ვხვდებით დასკვნას, სადაც მიმოხილულია ნაშრომში გამოკვეთილი საკითხები, ძირითადი მიგნებები, შეფასებები და შეჯამება.

დასკვნა

ნაშრომში მიმოვიხილეთ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი, მისი რეგულირება საქართველოს კანონმდებლობაში. გამოიკვეთა, რომ ამ ინსტიტუტის სამართლებრივი მოწესრიგება ერთ-ერთი რთულ და პრობლემურ საკითხს წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში.

არსებულ რეგულაციებში ვხვდებით მთელ რიგ ხარვეზებს, რაც ხშირ შემთხვევაში არაეფექტურს ხდის აღნიშნულ ინსტიტუტს.

როგორც ნაშრომიდანაც გამოიკვეთა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის საკითხი, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლე არ ითვალისწინებს ფაქტობრივ გარემოებებს და საქმის განხილვა არ ხდება არსებითად. აღნიშნული საფრთხეს უქმნის საერთო სასამართლოების მთავარ ფუნქციას - განახორციელოს მართლმსაჯულება. იმისათვის, რომ მართლმსაჯულება ეფექტიანი იყოს და ამავე დროს არ მოხდეს სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დარღვევა, პროცესში მონაწილე მხარეებისათვის აუცილებელია, იმის მიუხედავად, გამოცხადდება თუ არა მხარე პროცესზე მოსამართლემ საქმე განიხილოს არსებითად და მხოლოდ ამის საფუძველზე მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის მიმოხილვისას გამოჩნდა, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რედაქცია არ ითვალისწინებს და არ ახდენს დიფერენცირებას, თუ რა ტიპის საქმეებზე შეიძლება გამოტანილ იქნას დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შესაბამისად, სასამართლო ყველა ტიპის დავაზე იყენებს ზოგად წესს და არ ითვალისწინებს, თუ რა ინტერესი გააჩნიათ მხარეებს დავის საგნის მიმართ. ცალსახაა, რომ კანონმდებელმა უნდა უზრუნველყოს დავათა კატეგორიებად დაყოფა, რომელზეც მოსამართლეს ექნება უფლებამოსილება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ან მხარის მიერ კონკრეტული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიიღოს საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ნაშრომის ანალიზიდან ირკვევა, რომ სასამართლოს მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები მხოლოდ ფორმალურ ხასიათისა და არ არის შედეგზე ორიენტირებული. განსაკუთრებით საყურადღებოა საჯარო შეტყობინების გამოქვეყნების არსებული წესი, რომელიც მხოლოდ სამოქალაქო საქმის პროცესუალურ გამართულობას უწყობს ხელს.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის ერთ-ერთი მთავარი სამართლებრივი რეგულირების პრობლემას წარმოადგენს ის, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არეგულირებს საქმის განხილვისა საპროცესო მოქმედებების განხორციელებს ვადებს. თუმცა, დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში საკანონდებლო დონეზე არ არის მოწესრიგებული

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის განხილვის ვადა, ამ მხრივ აუცილებელია ეს ხარვეზი საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგდეს, რათა საფრთხე არ შეექმნას სამართლიანი სასამართლოს პრინციპის რეალიზაციას.

ნაშრომში, ასევე გამოვლინდა დაუსწრებელ გადაწყვეტილების გასაჩივრების რეგულირების ისეთი ტიპი, რომელიც რეალურად არის არაეფექტური და ამავე დროს დროში გაწელილი. იმისათვის, რომ აღნიშნულ პრობლემა აღმოიფხვრას აუცილებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილებაზე საჩივარი პირველივე ჯერზე გასაჩივრდეს სააპელაციო ინსტანციაში და არა იმავე მოსამართლესთან.

ამასთანავე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით არ არის დარეგულირებული საპროცესო თანამონაწილეობის დროს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები. სასამართლო ამ საკითხთან მიმართებაში ჩამოყალიბებული პრაქტიკიდან გამომდინარე მსჯელობს, ვინაიდან საქართველო არ არის პრეცედენტული სამართლის ქვეყანა აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდეს აღნიშნული საკითხი.

ასევე, დამკვიდრებული პრაქტიკის უარყოფით მხარეს წარმოადგენს მოსამართლის უფლების დელეგირება კანცელარიის თანამშრომლისათვის. როგორც ცნობილია, სარჩელის შეფასება მისი სიმარტივის და სირთულის მიხედვით მოსამართლის ვალდებულებაა, თუმცა, საბოლოოდ საქმეზე ვადას არა მოსამართლე, არამედ სასამართლოს კანცელარიის სპეციალისტი განსაზღვრავს (შესამჩნევია 10 და 49 დღიანი ვადები). თუ კანცელარიის თანამშრომლის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სადაც რეალურად არ არის და ვერც იქნება გათვალისწინებული საქმის სირთულე, მხარემ ვერ წარადგინა შესაგებელი შესაძლებელია დადგეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საკითხი, აღნიშნული კი მხარის უფლებების ცალსახა დარღვევას წარმოადგენს.

გასათვალისწინებელია, ასევე არაგანსჯადი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საკითხი იმ შემთხვევაში, როცა მხარეთა შეთანხმებით დავის გადამწყვეტად მიჩნეულია არბიტრაჟი, ვინაიდან საქმის არსებითი განხილვის დროს მოსამართლის ვალდებულებაა განუმარტოს მოპასუხეს ან მის წარმომადგენელს არაგანსჯადობის შედეგები, თუმცა მოპასუხე მხარე აღნიშნული უფლების გამოყენებას მოკლებულია, მაშინ, როდესაც საქმეზე მიიღება დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამ მხრივაც არსებული რეგულაცია უგულვებელყობს მხარის უფლებას.

მნიშვნელოვანი საკითხია, რომ პროცესის ეკონომიურობის პრინციპს არ უნდა მიენიჭოს პრიმატი სამართლიანი სასამართლო უფლებასთან მიმართებაში. ამასთანავე, სწრაფი

მართლმსაჯულება არის პროცესი მხარის ინტერესი და აღნიშნული არ შეიძლება მის წინააღმდეგადაც იქნას გამოყენებული.

საბოლოოდ, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის მიმოხილვისას მრავალი პრობლემური საკითხი გამოიკვეთა და საჭიროა საკანონმდებლო ორგანოს რეაგირება, რათა აღმოიფხვრას კანონმდებლის ხარვეზები.

პრობლემური საკითხების აღმოფხვრისათვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება თუ ნაშრომში ჩამოყალიბებული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება კანონდებელის მიერ, რადგან სამართალწარმოებაში მონაწილე პირების უფლებების რეალიზაციისათვის მნიშვნელოვანია, ამ საკითხების საკანონდებლო დონეზე მოწესრიგება.

გამოყენებული ლიტერატურა

ნორმატიული აქტები

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

1. არხოშაშვილი ლეილა "პრაქტიკაში არსებული პრობლემური საკითები, რომლებიც ეხება სარჩელისაგან მოპასუხის პროცესუალური თავდაცვის საშუალებებს." აკადემიური მაცნე 2013.

2. ბასიალაია ფრიდონ "მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლი) წარმოუდგენლობის შედეგი." მართლმსაჯულება და კანონი 2010;

3. ბასილაია ფრიდონ "დაუსწრებელი წარმოება ძველ რომში." გორი 2015;

4. ბასილაია ფრიდონ "საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და დაუსწრებელი გადაწყვეტილება." მართლმსაჯულება და კანონი, 2009;

5. ბოელინგი ჰაინ, ჭანტურია ლადო, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა. თბილისი, 2003;

6. თვარაძე ლელა, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მნიშვნელობა და მისი მიღების წინაპირობები სამოქალაქო პროცესში გორი, 2011;.

7. ლილუაშვილი თენგიზ, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი მე-2 გამოცემა. თბილისი, 2005;

8. ლილუაშვილი თენგიზ, ხრუსტალი ვალერი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი. თბილისი, 2010;

9. მერებაშვილი ირმა, "დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონმდებლობაში." მართლმსაჯულება და კანონი 2007;

10. მერებაშვილი ირმა, "დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თავისებურებები I და II ინსტანციის სასამართლოში ქართული და გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით." 2016;

11. სულხანიშვილი მაია, "სასამართლო გადაწყვეტილება, როგორც საპროცესო დოკუმენტი და მისი გასაჩივრების ფორმები მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით." მართლმსაჯულება და კანონი 2015;

12. ქურდაძე შალვა, სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში. თბილისი, 2006;

13. ქურდაძე შალვა. სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში. თბილისი: 2006

14. ქურდაძე შალვა, ხუნაშვილი ნინო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბილისი 2012;

15. ქურდაძე შალვა, ხუნაშვილი ნინო. "დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პრობლემები." სამართალი და მსოფლიო. თბილისი 2015;

16. ქურდაძე შალვა, ხუნაშვილი ნინო, ,,კანონიერების პრინციპის უზრუნველყოფისთვის სამოქალაქო პრიცესში'' მართმსაჯულება და კანონი, თბილისი, 2013;

17. ყურუა ნანა, ,,დაუსწრებელი გადაწყვეტილება“ , დისერტაცია იურიდიული მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

18. ჩხაიძე სიმონ, "დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესში - ძირითადი პრობლემები სასამართლო პრაქტიკის ანალიზი." მართლმსაჯულება და კანონი, თბილისი, 2012;

19. ობოლაძე ეკატერინე, "დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში."თბილისი 2013;

გამოყენებული სასამართლო პრაქტიკა

1. ბასიალაია ფრიდონ "დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო." გორი 2016;

განოყენებული ელექტრონული რესურსები

1. შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შედარებითი ანალიზი საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის მიხედვით. თბილისი:

სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა 2018 http://www.library.court.ge/login.php?geo&authorisation – სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა;

2. პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის. თბილისი 2019;

3. http://www.supremecourt.ge/about-job-information/- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა საძიებო პროგრამა;

4. http://info.court.ge/Login.aspx- სასამართლო გადაწყვეტილებების საძიებო პროგრამა;

5. http://www.supremecourt.ge/about-job-information/- საქართველოს საკანონდებლო მაცნე;

6. ქურდაძე შალვა ლექცია სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისათვის youtube.com 2014;

7. არხოშაშვილი ლეილა საკანონმდებლო ინიციატივა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232 პრიმა და 201-ე მუხლში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ. ქუთაისი საქართველოს პარლამენტი;